

# სამეცნიერო

№ 3 (40) 1.03.2015 - 1.03.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



**გაღებულ მოსწავლეს  
საქტეგორიდან  
მეგრულენოვანი  
და და ენით სწავა მოუწავთ!**

## გირიცხავთ 3 და 8 მარტს



**ვალსიები, საღაბ  
მოწმუნენი  
უფალს უვილის  
ყოლან ევედრებენ**



**ედიგარ  
თოლორაიას  
ვილოზა  
ქალბატონებს**



**აკოვიანის  
ოჯახი**



**რა მინი უოქა  
თათია სანიდრაას  
მერაბ კოსტავა**



**ბრიჯაოს  
მედალოსანი  
გოგონა  
სალომე უაუა**



**მარსრეველი  
მკვდრის  
ქილავ ერთი  
სისხლის კალო**



**პირველი  
კანონმდებელი  
ქალები**

№ 26

# ჩემო ინანიშვილი

## დედა

დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლთი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი - თითუბდამჭანარი, მაჯებდანვრილებული. მაინც მიღიმოდა და ისე მეუბნებოდა, - ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს - თითქოს ეზო-ყორის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით შენუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვიედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ - აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, - სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვებ და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავიწყე მე სიცილი, - რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. - არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი ჯარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წვეარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, - ნაილე, შვილოო, - შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით - ნადი-მეთქი ახლას - მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდევ, მივიხედე და დგას ისევ, მალლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. - ნადი-მეთქი, ნადი გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვე დავეშვი. ზურგჩანთა მკილია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წვეარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

- დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ ააღწევს. ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ ჰატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყურებოდი დედების საჩუტეზე.

ის კი იყო და ის - ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დაეღია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა,

რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?!

ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?!

თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაქდა, ველარ წამოდგა და იყო ასე, -

ფარანზე დაყრდნობილი?!

კიდევ უარესი -

სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავენთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ,

მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდას...

# ს ა რ ჩ ე ვ ი



დედი — გოგლა ლეონიძე.....	2
დედა ენა მეგრულად .....	3
ზუგდიდში მოქალაქეთა ნაწილი მეგრული და სვანურისთვის რეგიონული ენების სტატუსის მინიჭებას ითხოვს .....	6
მეგრულ-ქართული ლექსიკონი .....	8
რა ჩინი უბოძა თათთა ხაინდრავას მერაბ კოსტავამ.....	9
ზვიადის გზა — მანონი წურწუმია.....	12
ქალმა წუთისოფლის სუფრაზე სრულფასოვანი ადგილი დაიმკვიდრა — ილია ჭავჭავაძე .....	14
ჩონგურის სიმებზე აწყობილი აკობიების ოჯახი .....	17
ხოზი — სრულიად საქართველოს ამცნობს.....	18
მოგონებები ნოველებად — გივი სიხარულიძე.....	20
„ზეციური ასეულის“ ქართველი გმირები — ზურაბ ხურცია.....	22
სპორტული ხელოვნების კვარცლბეკზე. სალომე ფაჟავა.....	24
ზუგდიდი — სრულიად საქართველოს ამცნობს — ედიშერ თოლორაია...	25
პირველი კანონმდებელი ქალები საქართველოში.....	26
მარტის თვეა შენი — ეთერ ჩიკვილაძე.....	28
სამარხვო კერძები.....	30
„მაოხრებელი მკვდრის“ კიდევ ერთი სისხლის კალო.....	32
როგორ მოვუაროთ ოთახის იას? .....	34
ეკლესიები, სადაც მორწმუნენი უფალს შვილის ყოლას ვევდრებიან — დავით კიკოლაშვილი .....	36
რჩევა დარიგებანი ქალებს — ვანო ცინცაძე .....	38
სახის კანის მოვლა გაზაფხულზე .....	40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რახვიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —  
**გიორგი გუტაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარაცხელიძე**

ტექსტი ააწყო

**თამარ გომინაძე**

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: [nino153@mail.ru](mailto:nino153@mail.ru)

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს  
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის

პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,

ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ  
თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

**მეირფასო მკითხველო!**

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება  
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

დედა



გიორგი  
ლარიონიძე

„დედის ჩანვთებულ ცრემლზე ია ამოდისო - ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში, ყოველ გაზაფხულზე ია ბლუჯუღად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

იის სიყვარული დედამ შთამაგონა, მან მასწავლა იების სისპეტაქისა და მშობლიური მიწის სიყვარული, იასავით სპეტაქი ადამიანი იყო. თვითონაც ხომ პირველი იების ამოსვლის დღეებში გაგვმორდა“.

დაგვიანებული აღსარება

მერაბ პერაძე

მე აღსარება მსურს გითხრათ ერთი, ნეტავი ახლა მისმენდეს ღმერთი, მაქვს უამრავი დანაშაული, მინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუვლი.

უპირველესად ცოდვა მაქვს დედის, აი, მიზეზი ცრემლის და სევდის, ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა, როცა მიცდიდა ღია სარკმელთან.

გათენებამდე ტანჯვით მელოდა, ლოდინი გასდა მისი ხელობა, მე სხვაგან ლაღი და სიტყვაუსვი, დედასთან ვიყავ მუნწი და უტყვი.

იშიმშილა და იტანჯა ჩემთვის, გასამართლებლად ახა რა მეტყმის, მაგრამ მე მაშინ ვერ ვგრძობდი ამას, იგივეს ვეტყვი დაღუპულ მამას.

მეგონა მუდამ იქნება ასე, რამდენჯერ შევცდი ცხოვრების გზაზე, აკი გითხარით ცოდვა მაქვს ბევრი, ამიტომაც მდის მდულარე ცრემლი.

მონანიება შორი გზით მოდის, ეველაფრისათვის მოვინდი ბოდიშს მაგრამ ვაი, რომ არის გვიანი, რა მწარედ ცდება ადამიანი აი, ამიტომაც მოვმართავთ ეოფელს, სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!

მაგრამ თუ უკვე ცოცხალი არ გეავთ, იქ რომ დაადგეთ სხივი ნათელი, ნუ დაიზარებთ, დედ-მამისათვის, დანათეთ თუნდაც ერთი სანთელი!



# დედა ენა მეგრულად


**სეპარატისტები მაკტიდან მებრულ ტელევიზიას  
ხსნიან, სექტემბრიდან კი სატელევიზიო რეჟიმში  
სკოლებში მებრული ენის სწავლებას იწყებენ**

სექტემბრიდან გალის რაიონის ქართული სკოლებში მეგრულენოვანი „დედა ენის“ შეტანა იგეგმება. მეგრული „დედა ენა“ - „ჩქინი ნინა“ 500 ცალი ტირაჟით 2013 წელს არის დაბეჭდილი და გალის დე ფაქტო ადმინისტრაცია მის დატესტვას ქართული სკოლების პირველ კლასებში აპირებს.

ნიგნის ფოტოები ახალგაზრდა ინტელექტუალების ვებგვერდმა „ლაზარემ“ გამოაქვეყნა. ფოტოებიდან ირკვევა, რომ მისი ავტორი და შემდგენელი ნარგიზა ბასარიაა, რომლის ბიოგრაფია ნიგნის უკანა ყდაზე მეგრულად და რუსულადაა დატანილი.

ნიგნში მეგრული სიტყვები ქართული ანბანითაა დაწერილი და იქვე, გვერდით, რუსულ და ინგლისურ ენებზეა თარგმნილი. როგორც ვარაუდობენ, ეს ნიგნი სავალდებულო გახდება გალის ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

ნიგნის ავტორი ნარგიზა ბასარიას შესახებ



წერია, რომ იგი 2003 წლიდან დღემდე აფხაზეთში გამომავალი გაზეთის „გალ“-ის მეგრულენოვანი განყოფილების კორესპონდენტიცაა. ის ასევე არის აფხაზეთში დაბეჭდილი პირველი მეგრულ-რუსული კალენდრის მთარგმნელი და კორექტორი. იგი 1994-1999 წლებში თბილისში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას სწავლობდა.

ბასარია გალიდანაა და ეროვნებით ქართველია, თუმცა, როგორც რესპონდენტებმა თქვეს, არც ის და

არც გაზეთ „გალ“-ის რედაქტორი ნუგზარ სალაყაია არ ქართველობენ. აღსანიშნავია ის, რომ მეგრული „დედა ენის“ დაბეჭდვის ცნობის გავრცელებამდე რამდენიმე დღით ადრე გალში მეგრულენოვანი ტელევიზიის გახსნის გეგმა გავრცელდა. დაახლოებით 10 დღის წინ გალის დე ფაქტო

**გამგებელმა თემურ ნადარაიამ განაცხადა, რომ 1-ლი მარტს ახალი ტელეარხი უნდა გაიხსნას.**

არხის სტუდია გალის ფოსტის შენობაში განთავსდება, მაუნეებლობა კი აფხაზურად, რუსულად დამეგრულად იქნება. ამასთან, ნადარაიას ცნობით, ახალი არხის სიგნალი აფხაზეთთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს დაფარავს.

რატომ წამოიწიეს წინ მეგრული ენის პროპაგანდის საკითხი აფხაზმა სეპარატისტებმა და 2013 წელს დაბეჭდილი წიგნი ახლა რატომ გაახსენდათ? - როგორც აფხაზეთის უშიშროების ყოფილი მინისტრი, გენერალი ლევან კიკნაძე აცხადებს, აფხაზებს მეგრული ენის ბედი სულაც არ აღელვებთ, ისინი საკუთარ აფხაზურ ენასაც კი არ ასწავლიან სრულყოფილად სკოლებში, მეგრული ენის პროპაგანდა კი მხოლოდ მეგრული სეპარატიზმის დათესვის სურვილით არის მოტივირებული.

სპეცსამსახურების ენაზე ამას აქტიური ღონისძიება ჰქვია. მეგრული ენის წარმოჩენის მცდელობა მათ წელიწადზე მეტია აქვთ და ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მიუღიათ. იმიტომ, რომ ეს მკვდრადშობილი იდეაა და მას განვითარება არ უწერია.

**„იდეა გათვლილია იმაზე, რომ გალის მოსახლეობას აჩვენონ - საქართველოს ხელისუფლება ხომ არაფერს აკეთებს მეგრული ენისთვის, ზოგი იმასაც ამბობს, რომ ენა კი არა დიალექტია და აი, ჩვენ პატივს ვცემთ და ვზრუნავთ თქვენი ენის განვითარებაზეო. მიუხედავად ამ გათვლისა, ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც აფხაზების ამ იდეას აყვება,“** - ამბობს "ექსპერტთა კლუბის" ხელმძღვანელი ლევან კიკნაძე.

მისი თქმით, აფხაზებს ამ საქმეში დიდი ხანია მხარს უმაგრებს ბრიტანელი კავკასიოლოგი ჯორჯ ჰიუიტი, რომელიც აფხაზების სიძეა და დიდი ხანია ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს მეგრელები ქართველები არ არიან და რამენაირად მეგრული სეპარატიზმი დათესოს.

„ომის შემდეგ გალის რაიონში სამენოვანი გაზეთი დაარსდა. მისი რედაქტორია გალელი ნუგზარ სალაყაია. ეს გაზეთი თვეში ორჯერ სამ ენაზე გამოდის - აფხაზურად, რუსულად და მეგრულად, ქართული შრიფტით.

„მოგვიანებით მეგრულენოვანი ტელევიზიის გახსნაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა, ჯერ არაფერი გაუხსნიათ. ტელევიზიის თემა ახლა ისევ გაააქტიურეს და ამბობენ, 1-ლი მარტს გაიხსნებაო.

„ეს ჯორჯ ჰიუტი აფხაზეთში ხშირად ჩადის, მართვას ლექციებს, შეხვედრები აქვს დე ფაქტო

ხელისუფლებასთან, ასევე სალაყაიასთან და სულ იმის მცდელობაშია, მეგრული სეპარატიზმი წახალისოს.

„ჰიუიტი კავკასიოლოგია და როგორც აფხაზური სეპარატიზმის დიდი მხარდამჭერი, ყველასთვის ცნობილია. ბრიტანეთის სამეცნიერო წრეებში მას იცნობენ“, - აღნიშნავს კიკნაძე.

იგი მიიჩნევს, რომ მეგრული "დედა ენის" გალის სკოლებში შეტანით სეპარატისტებს სურთ ქართული "დედა ენა" მეგრულით ჩაანაცვლონ და ამით როგორმე წარმოაჩინონ, რომ გალის მოსახლეობა ქართველები არ არიან.

„გალში მეგრული ისედაც ყველამ კარგად იცის და იმის ნაცვლად, რომ აფხაზურ ენას მიხედონ, რომელიც ჩამკვდარია და არავის სჭირდება, მეგრული ენის წარმოჩენა-გავრცელებაზე დაიწყეს ვითომ ზრუნვა. მათი ჩანაფიქრია, რომ მეგრელები გამოყონ და განასხვავონ დანარჩენი ქართველებისგან. როგორც აფხაზია დამოუკიდებელი ეთნოსი, სურთ მეგრელებიც ასე წარმოაჩინონ. გალის მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს შორის კავშირი შეასუსტონ და განყვიტონ. გალში აფხაზების ამ ჩანაფიქრს ძალან ბევრი არ დაუჭერს მხარს, მაგრამ სეპარატისტები თავისას მაინც აწევიან“.

„ენის დანერგვასა და განვითარებას მეცნიერული წრეები და ბევრი პრომა სჭირდება. მხატვრული ლიტერატურა უნდა შეიქმნას და ა.შ. თქვენ რომ გაზეთი „გალ“ ნახოთ, მიხვდებით, რომ მას მკითხველი არც შეიძლება ჰყავდეს. ორფურცლიანი გაზეთია და ძირითადად რუსული ტექსტი და მიმართვებია, ცოტაა მეგრულად დაწერილი ტექსტი. სრულყოფილი გაზეთი ვერ დაბეჭდეს და ტელევიზიას როგორ შექმნიან ან სწავლებას როგორ მოახერხებენ?!“ - დასძენს კიკნაძე.

აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში ამ ინიციატივისა და საერთოდ, უკვე დაბეჭდილი მეგრულენოვანი წიგნების შესახებ არაფერი სმენიათ.

დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის **ჯემალ გოგობიას** თქმით, ის ხელისუფლებას საქმის კურსში ჩააყენებს და აჟიოტაჟს ატეხს.

**„ამ თემაზე ეს შემიძლია გითხრათ - აფხაზური ენა განავითარონ და მეგრულს დაანებონ თავი. აუცილებლად ჩავაყენებ აფხაზეთის მთავრობას საქმის კურსში. ეს იდეა საქართველოს დაშლაზეა გათვლილი. აჟიოტაჟს ავტეხთ ამაზე,“** - აცხადებს გოგობია.

აფხაზეთის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ქვაცაბიაძე, გარდა იმისა, რომ მეგრულენოვანი „დედა ენის“ დაბეჭდვის შესახებ არაფერი იცოდა, ისიც განაცხადა, რომ ვინ რას მოიგონებს სასენსაციოდ გაზეთისთვის და ყვითელი პრესისთვის, არ იცის და ამას ვერ დაადასტურებს.

„ჩვენ ვიცით, რომ სკოლებში რუსული ენა შემოვიდა აქტიურად და უკვე პირველივე კლასიდან დაიწყო სწავლება. მეგრულენოვან „დედა ენაზე“ ჩვენთან არანაირი ინფორმაცია არ მოსულა. ჩვენ გალის ქართული სკოლების დირექტორებთან და პედაგოგებთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, 10 დღის წინ გვექონდა შეხვედრა და მსგავსი ინფორმაცია მათაც არ ჰქონდათ.

„ყველა საგანში ძალიან ინტენსიურად და მკაცრად მიდის სწავლება რუსულ ენაზე, მაგრამ მეგრულ ენაზე სწავლის შემოღებასთან დაკავშირებით პედაგოგებს არაფერი უცნობებიათ. თქვენ საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია? ვინ რას მოიგონებს სასენსაციოდ გაზეთისთვის და ყვითელი პრესისთვის, არ ვიცი, ამას ვერ დაგიდასტურებთ,“ - ამბობს ქვაცაბიაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილისაგან განსხვავებით, მეგრულენოვანი „დედა ენის“ დაბეჭდვის შესახებ ინფორმაცია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელ ნონა შონიას ჰქონდა.

მისი თქმით, მას ეს წიგნი ნანახიც კი აქვს და იცის, რომ ის 2013 წელს როსტოვში დაიბეჭდა. „მეგრულენოვანი „დედა ენის“ სკოლებში

შემოღების შესახებაც ვიკითხე, მაგრამ არაფერი იცოდნენ. ძირითადად, ჩვენ ინფორმაცია გვაქვს, რომ აფხაზებს ქართული სკოლების მთლიანად რუსულ ენაზე გადაყვანა უნდათ“, - აღნიშნავს შონია.

მისივე ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით გალის ქვედა ზონაში 11 სკოლაა აღდგენილი და ყველა ქართულენოვანი სკოლის სტატუსს ინარჩუნებს. თუმცა, წელს ქართული ენის საათების ხარჯზე რუსულის სწავლება გააძლიერეს და რუსული უკვე პირველი კლასიდან ისწავლება.

გალის ზედა ზონაში 9 სკოლაა, სადაც ქართული რიგით საგნად ისწავლება. ეს საათებიც შეამცირეს და ახლა კვირაში თითო-თითო საათი ეთმობა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ქალაქის ცენტრში არსებულ პირველ სკოლაში კი ქართულ ენას მხოლოდ ფაკულტატიური საათები ეთმობა.

**„ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონის სკოლებში ქართული არ ისწავლება. მასწავლებლები არალეგალურად, ლამის სიცოცხლის რისკის ფასად ასწავლიან ქართულს. არის საშიშროება, რომ ქვედა ზონის ქართული სკოლებიც რუსულ სწავლებაზე გადაიყვანონ“.**

„უახლესი ინფორმაცია ისაა, რომ უნდათ წიგნების შეტანა სკოლებში და უნდათ ტელევიზიის გახსნა, რომ მეგრულად გაიგოს მოსახლეობამ იქ არსებული ვითარების შესახებ. იქ მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულია, ამტომაც ცდილობენ ქართველებს საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად მხარესთან ურთიერთობა შეუზღუდონ,“ - აცხადებს შონია.

ეკატერინე გასილაია



აღნიშნულ ინფორმაციას სოსიანჯი ქაჯში ახაჯიი აომენსაჰი და ახითა სხვადასხვაობა მოჰყვან.



**ვაზირი საბურქანია:**

„ამ წიგნს და სვანურ ენას თუ დანარჩენ საქართველოშიც შემოიღებენ კარგს იზამენ, კარგს და აუცილებელს, მე რომ მეგრული თითქმის არ ვიცი, კარგს არაფერს ნიშნავს და მოეშვით ენაში სეპარატიზმის დანახვას, მეგრელები ყოველთვის იყვნენ ერთიანი საქართველოს ბიძგის მიმცემი, დადიანს მეფობაზე პრეტენზია არასდროს განუცხადებია, მაშინაც კი, როდესაც ლევან დადიანის ზეობის ხანაში იმერეთის მეფეც კი კრძალვით ერიდებოდა მას. და ამის შემდეგ აფხაზებს და ოსებს ვერც ეკონომიკით და ვერც ევროპიზაციით ვერ მოვხიბლავთ.“



**ლევან ღვინჯილია:**

საქართველოს პრემიერმინისტრის საყურადღებოდ!!! რაც ამ უგუნურობას შედეგად მოჰყვება, ის ყველაფერი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების კისერზე იყოს. ინყება ჯერაც ვერშემდგარი ერის სამუდამოდ დაშლისა და განადგურების მიზანმიმართული პროცესი.

ფაქტი, რომელიც „Liverpress.ge“-ზე 2014 წლის 18 ნოემბერს გავრცელდა მითად სანტიმარსო სტატიის ითვალისწინებს ზუგდიდში მოქალაქეთა ნაწილის მოთხოვნის გახმოვანებას, მებრუნისა და სვანურის რეგიონალური ენების სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამ დროს გალში შეიქმნა მებრუნ ენოვანი დედაენა და გალელი ბავშვები სექტიმბრიდან ამ დედაენით ისწავლიან.

რა კავშირია ამ ორ ფაქტს შორის და საერთოდ აქვს თუ არა ამ თემაზე ერთმანეთთან საერთო, ვასუსს თქვენთან ველით, გამოგვიგზავნეთ მოსახრებაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ მას უცვლელად დავბეჭდავთ.

## ზუგდიდში მოქალაქეთა ნაწილი მებრუნ და სვანურისთვის რეგიონალური ენების სტატუსის მინიჭებას ითხოვს

მოქალაქეთა ნაწილი ზუგდიდში მებრუნ და სვანური ენებისთვის რეგიონალური ენების სტატუსის მინიჭებას ითხოვს. მათ შეიმუშავეს მიმართვა საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, ევროკომისიის, ევროპის რეგიონთა ასამბლეის, ევროპის რეგიონთა კომიტეტის მიმართ, რომელსაც „ლაივპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„თქვენდამი ჩვენი მიმართვის მიზეზი გახდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1992 წ. ხელმოწერილი დოკუმენტი - „რეგიონალური ენების ან უმცირესობების ენების ევროპული ქარტია“, რომლის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტი არ ახდენს, სხვადასხვა მიზეზების გამო.

ჩვენს მიერ ამ ქარტიის დაცვის ობიექტად მოიაზრება მებრუნ და სვანური ენები, როგორც ისტორიული რეგიონების სამეგრელოს და სვანეთის (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე) მცხოვრებ, ეთნიკურად მებრული და სვანი მოსახლეობის მშობლიური და საკომუნიკაციო ენები. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ეროვნების მოსახლეობის უმრავლესობა ლაპარაკობს ოთხ ცალკე ენაზე, ესენია: ქართული, მებრული, სვანური და ლაზური.

საბჭოთა კავშირში, კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე და ზოგიერთი კომუნისტის დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგად, ხდებოდა მცირე ეთნოსების ხარჯზე, დიდი ერების გამსხვილება, და, შესაბამისად, ამ ეთნოსთა ენების ტაბუირება. მაგ. თუ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჯერ კიდევ გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები მებრულ ენაზე, უკვე, 30-იან წლების ბოლოსთვის ისინი დახურული იქნა. დღემდე მებრულ ენაზე საქართველოში არ გამოდის არცერთი ბეჭდვითი და ელექტრონული საინფორმაციო ორგანო. მებრული ენა ფაქტიურად არის აკრძალული და განდევნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდან. საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, საზოგადოებრივი ელიტა, არ ცნობენ მებრული ეთნოსის და მებრული ენის არსებობას. შესაბამისად, უგულვებელყოფილია მებრული ხალხის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, კულტურული მემკვიდრეობა და იგი აღიარებულია ქართული ანუ ტიტულარული ეთნოსის, ქართველის ისტორიულ საკუთრებად. საქართველოში, მებრული და სვანური ენების დაცვა არის პოლიტიკურად საკამათო,

რადგან ამ საკითხს უყურებენ, როგორც საფრთხეს ქართველი ერის არსებობისა.

არსებობს წმინდა იდეოლოგიური - პოლიტიკური აგებულება ენის საკითხთან მიმართებაში, რომლის მიხედვით საკუთრივ ქართულ ენას ეძლევა წმინდა და საკრალური ენის სტატუსი, როგორც ქართველი ერის არსებობის ერთადერთი წყაროსი. ამიტომ აკრძალულია მებრულ და სვანურ ენებზე ღვთის მსახურება ამ რეგიონების ეკლესიებში, ხოლო საქართველოს დიდ ქალაქებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ზოგიერთ შემთხვევაში, მებრულ ენაზე საუბარი არამებრულენოვან მოქალაქეებში აგრესიას და გაღიზიანებას იწვევს. განსაკუთრებით საგანგაშოა მებრული ენის მდგომარეობა სამეგრელოს სკოლებში, რომლებიც ქართიზაციის მძლავრი ინსტრუმენტად არიან ქვეყლში. სამეგრელოს ქალაქების სკოლებში დაბალი კლასების მოსწავლეები, მებრულად არა თუ არ მეტყველებენ, არამედ არც იციან მებრული. საქართველოს მმართველ ელიტებში უგულვებელყოფილია ძირითადი კონცეპტუალური პრინციპი რეგიონალურ ენებთან მიმართებაში: რომ ეს ენები წარმოადგენენ დიად კულტურულ სიმდიდრეს ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის.

მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველო თავს იკავებს ამ ქარტიის რატიფიცირებისაგან, ეს არის საერთო ენის არ არსებობა საქართველოს მულტიენობრივ სივრცეში, სადაც მსხვილი ეთნიკური ჯგუფები, როგორებიც არიან - სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, რომელთაც საქართველოს მეზობლად, მათი ეროვნული ინტერესების დამცველი ეროვნული სახელმწიფოები გააჩნიათ. ამიტომ, ისინი შეგნებულად არ არიან დაინტერესებულნი სახელმწიფოების - ქართულის შესწავლით, რასაც ვერ ვიტყვით მებრელებზე და სვანებზე, რომლებსაც საქართველოს გარეთ სახელმწიფო არ გააჩნიათ და რომელთა კულტურის და სახელმწიფო ენას შეგნებულად წარმოადგენს ქართული ენა.

იმ მიზნით, რომ მებრულ და სვანურ ენებს არ მიენიჭოს რეგიონალური სტატუსი, (ევროკომისიის მოთხოვნის შესაბამისად), საქართველოში შექმნილია მეცნიერთა და საპატრიარქოს იერარქთა ჯგუფები, რომლებიც წერენ და აქვეყნებენ, მათი აზრით, მეცნიერულ შრომებს, სადაც ორი მიმართულებით ხდება მებრელთა ენობრივ-ისტორიული სინამდვილის გაყალბება:



**1. უარყოფილია სამეგრელოს, როგორც ისტორიული რეგიონის არსებობა, ხოლო მეგრული ხალხი განხილულია როგორც ეთნოგრაფიული კატეგორია. (იხილეთ, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის შრომები).**

**2. უარყოფილია მეგრული ენის არსებობა და იგი აღიარებულია სახელმწიფო ენის ქართულის, დიალექტად, რაც ავტომატურად გამორიცხავს მეგრულ ენაზე ამ ქარტიის გავრცელებას. (იხილეთ, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის შრომები).**

ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ ვარიანტად მიღებულია, რომ ძველი წელთ, აღრიცხვის მე-2-ე ათასწლეულში მოხდა პროტოენის სვანურ, მეგრულ და ქართულ ენებად დაშლა. მათ, კანონიერად, მონათესავე ქართველურ ენებს უწოდებენ და იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახში ათავსებენ.

აკადემიური მეცნიერება მეგრულ-ლაზურს ერთმანეთთან მიმართებაში დიალექტად არსებულ კოლხურ ენად მიიჩნევს. ამგვარად, მეგრული ენა არის არა ქართული ენის დიალექტი, არამედ ძველი კოლხურისა, ზუსტად იმდაგვარადვე, როგორადაც თავადაც ახალი ქართული ძველ ქართულის დიალექტია.

მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებს თავად გააჩნიათ დიალექტები და თქმები..

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობს 800000 ათასი მეგრელი, აქედან 600000 სამეგრელოს რეგიონში, 200000 თბილისში. ეს ადამიანები ფლობენ ან გაეგებათ მეგრული ენა და თავიანთ თავს ეთნიკურ მეგრელებად თვლიან.

აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში“ დაფიქსირებულია ფაქტი, რომ კოლხი მედეა კოლხურ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მსოფლიოში ბევრმა მეცნიერმა არც იცის, რომ მეგრული და ლაზური ენის სახით ის ენა - კოლხური ენა დღესაც ცოცხალია, თუმცა კი აშკარა განსაცდელშია.

განა უღმერთობა არაა მსოფლიოში ერთ ერთი რჩეული - კოლხური ცივილიზაციის შემქმნელი ენის უშუალო მემკვიდრენი ლაზური და მეგრული ენები, დღესაც ცოცხალნი, ჩვენი გულგრილობის გამო დავლუპოთ?

მეგრელთა და ლაზთა უძველესი სახელმწიფოების, კოლხეთის და ლაზიკის არსებობის პერიოდში სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა არ ხდებოდა ქართულ ენაზე, ასევე, ახალი წელთა. აღრიცხვის .მე-4-10ს.ს. სამეგრელოს სამეფოში ღვთის მსახურება მიდიოდა ბერძნულ ენაზე, რადგან იმ ეპოქაში სამეგრელო ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, ამიტომ, ამ პერიოდებში, მეგრული ენა არ შეიძლებოდა ქართულის დიალექტი, ყოფილიყო. სამეგრელოს, ძირითადად, მოსახლეობამ ქართულ ენაზე ლაპარაკი მხოლოდ 1930 იან წლებში დაიწყო.

მე-15 ს. ქართულ ენაში რეფორმა ჩაატარა სულხან ჯანბაკურიან-ორბელიმა. მის მიერ ქართული ენიდან განდევნილი იქნა მეგრული სიტყვების მარაგი, რის შედეგადაც ეს ენები დაშორდნენ ერთმანეთს. დღეს მეგრული ენა გაუგებარია ქართულენოვანი მოსახლეობისთვის. ეს რეფორმატორი ითვლება ერთერთ გამოჩენიულ მეგრელთმოდულედ, რომლის მეგრელთმოდულობის იდეოლოგია გამჟღავნდა ქარ-

თული საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ამის თვალსაჩინო გამოვლინება გახლდათ საქართველოში 1991-92 წლების სამოქალაქო ომი, რომელიც სამეგრელოს რეგიონთან დაპირისპირებაში გადაიზარდა, სადაც მეგრული წარმოშობის საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, პუტჩის შემდგომ, შეაფარა თავი. ამ რეგიონს. მას მეგრელების მხარდაჭერა ჰქონდა, მისი პროდასვალური პოლიტიკური ორიენტაციის გამო..

მეგრელი და სვანი ხალხი კულტურულად რომაულ-ბიზანტიურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ და თავს ევროპელებად თვლიან... სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სადაც ეს ენები ფუნქციონირებენ, მათ არ გააჩნიათ ინსტიტუციონალური მხარდაჭერა განათლებისა და კულტურის სფეროში. ამ ენებზე და მის მატარებელ ადამიანებზე, განსაკუთრებით კომუნიტურ ეპოქაში, უდადეგი ფსიქოლოგიური ზენოლის შედეგად, მოსახლეობა ამ ენებს უდგება როგორც მეორეხარისხოვანს, „სოფლის ენას“ და არა პრესტიჟულს. მიუხედავად ამისა, მეგრელი და სვანი ხალხი მთლიანობაში ამ ენებს განიხილავს არა დიალექტებად, არამედ სრულფასოვან ენებად.

როგორც ხედავთ, დღევანდელი სამეგრელო საქართველოსდაევროპისუძველესი ისტორიული რეგიონია. საქართველოს მთავრობის შიშები, რომ მეგრული და სვანური ენებისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭება გააღვივებს რეგიონალურ სეპარატიზმს, ან შეასუსტებს ქართული ენის პოზიციებს უსაფუძვლოა, რადგან მეგრელებს და სვანებს სხვა სამშობლო, სხვა ქვეყანა, სხვა ურთიერთდამაკავშირებელი ენა, გარდა საქართველოსი და ქართულისა არ გააჩნიათ, მაგრამ, ჩვენ კატეგორიულად ვენინააღმდეგებით ჩვენს ასიმილაციას, კერძოდ ენობრივ ასიმილაციას.

გამომდინარე მეგრული და სვანური ენების სავეალლო მდგომარეობიდან, აგრეთვე ამ საკითხის გარშემო საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ გაგვინოთ დახმარება და თქვენი რეკომენდაციებით დაარწმუნოთ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი შემდეგში:

**ა) მიანიჭოს რეგიონალური ენების სტატუსი მეგრულ და სვანურ ენებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.**

**ბ) შემოღებული იქნას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ზოგადსაგანმათლებლო სკოლებში, დაწყებითი განათლება (საშუალო განათლების ნახევარი - 6 კლასი) მეგრულ და სვანურ ენებზე.**

**გ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იქნას მეგრული და სვანური ენების კათედრები.**

**დ) თბილისში, სახელმწიფოს დაფინანსებით დაარსდეს ქართველურენათადაცვის დეპარტამენტი:**

**ე) სამეგრელოში და სვანეთში დაარსდეს თითო თითო მეგრულ და სვანურენოვანი ტელევიზია.**

აგრეთვე თბილისში - ერთი ცენტრალური ტელეარხი აფხაზურ, ოსურ, მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებზე. განცხადებას ხელს აწერენ - ფრიდონ აბაკელია, ედემ იზორია, ზაალ ჯალაღონია, გულადი გორდულაძე, ზაზა ლურწკაია, რეალორთოდოქსი იბერია, თემურ ცაგურია“, - ამბობენ მიმართვის ავტორები.

# მეგრულ-ქართული ლექსიკონი

**ამბალი** – დიდი, ვეება.  
**ანჯაფარია** – ფულიანი, შეძლებული.  
**აფაქელა** – ფრიალა, მსუბუქი  
**აფაქია** – აფრიანი  
**ბასარია** – ჩაფსკნილი, ძლიერი აღნაგობის.  
**ბაჩალა** – მშვიდი, თვინიერი, არაპრეტენზიული.  
**ბელქანი** – მეჩხერი, თვალედი, შორიშორ ნაქსელი.  
**ბოკერი** – ბრკმული, დამოკლებული.  
**ბოკერია** – ტანმოკლე.  
**ბოკურა** – ტანმოკლე, ჩაფსკნილი.  
**ბოკურა** – ბორკურა – ფეხშავი.  
**ბიგვა** – მსხვილი ადამიანი, მკვრივი, ჩაფსკნილი.  
**ბუკი** – სკა.  
**ბუკია** – ბუკურა, ჯირკვა.  
**ბჟალა** – მზის ნათელი.  
**გაგუა** – ძლივძლივობით სიარული, ლასლასი.  
**გაგულია** – ბლაგვი, ჩლუნგი.  
**გახოკია** – ცხენისკუდა (მცენარე).  
**გეგებერი** – წმ. გიორგის ბიჭი.  
**გეგელი** – ჩიხტი.  
**გვაზა** – მსხვილი, ზორბა, ღიპიანი.  
**გვასალია** – დიდი, ზორბა, მსხვილი.  
**გვაძაბია** (გვაძი) – ჯუჯა, ტანმორჩილი.  
**გვაჯა** – ტანდაბალი, ჩაგვერა, ჯუჯა.  
**გვაჯი** – პატარა ბიჭი.  
**გვიჩა** – ტანდაბალი დაქოჩორა, ბუჩქა.  
**გიოთლენდია** – ეშმაკი, ცბიერი, პიროვნება.  
**დუდურა** – დუდიურა – თავშავა.  
**ზარანდია** – მეზარე, ზარების ჩამომსხმელი, მოზარე.  
**ზოდელა** – ტლანქი, ჩამოგრძელებული; გრძელთავიანი ლომის ჯიში.  
**თოდუ** – ხის მთლელი.  
**თორდი** – ჯაჭვის მჭედი, მცნობი, ზეგების მეთვალყურე.  
**თოფური** – თაფლი.  
**თოშხუ** – თოლშხუ „თვალმსხვილი“ მეტსახელი.  
**თუნჯია** – თუჯის პატარა ქვაბი.  
**კაკულია** – წელში მოხრილი, მოკუზული, მოკაკული  
**კიზირია** – პატარა და კოხტა  
**კინტირია** – კიტრანა, პატარა ტანისკაცი.  
**კობახი** – მთის ჩიტი ერთგვარი.

**კობზა** – მც.ერთგვარი, ბძისმაგვარი ბუჩქი, მაგარი შტო აქვს.  
**კოდუა** – კოდვა, ქვის ისე მითლა რომ ხორკლიანი ზედაპირი ჰქონდეს.  
**კონჯარი** – ხესავით მაგარი (კაცი).  
**კორსანტი** – რკინეულის ოსტატი.მეკობრე.  
**კვაშილა** – მინავაშლა (მცენარე)  
**კუდა** – უკუდო, ჩვილ ბავშვთა დავადება.  
**ლადარია** – ტანმალალი.  
**ლასარი** – მაგარი. პიტალო, მჭრელი, რკინასავით მაგარი მერქანი.  
**ლასარია** – გამკვრივებული ყინული.  
**ლატარია** – სატარე მასალა, ტანლატანა.  
**მაკალათი** – საჭმლის მიმტანი, გამრიგებელი (ყანაში); კალათის მზიდველი; მეკალათე, შემონანირის, როჭიკის დამტარებელი ხალხური ნიღბების თეატრში.  
**მალანი** – დამაელმებელი (თვალის), თვალის ამხვევი, თვალთმაქცი, ილუზიონისტი, მსახიობი; თხა – ცხვრის მწყემსთა გაერთიანების წევრი.  
**მანჩხა** – წყლის გამშვები, საგანგებო ხვრელი ლაზურ ნავზე.  
**მანწკა** – კურკოვანი, კურკასავით წვრილი.  
**მარლანი** – თვალმარლი.  
**მარლანი** – თვალმარლი, ლიბრგადაკრული.  
**მარშანი** – მწინდავი, დამწინდოელი.  
**მალულარი** – მახვილი, ხმალი  
**მატკა** – ხურიტული ღვთაება  
**მესხია** – მენვრილმანე, წვრილშვილის პატრონი.  
**მურლულია** – ბუზარა.  
**ნარსი** – გამოფიტული, დაქცეული, დაღუპული.  
**ნოდია** – მხდალი, ნელმავალი ცხენი, ზანტი.  
**სალაყაია** – სასიმინდის კარის წინ გადებული საცა-ლფეხო ძელი ან ფიცარი, მალალი, აწონილი კაცი.  
**სალია** – პირველნახადი არაყი.  
**სანგულია** – ყრუ, შეუსმინარი კაცი.  
**სახოკია** – ძაღლის ენა (მცენარე)  
**სახურია** – სახიერი.  
**სიორდი** – სრიალა.  
**ტაბალუა** – ტბის წია  
**ტყებურა** – ტყებურა – ტყავშავა.

# რა ჩინი უბოძა თათის ხაინდრავას მერაბ კოსტავამ

„ბუნებამ მას ყველაფერი მისცა: სილამაზე, შესანიშნავი ხმა, ნიჭი და ერთში დაჩაგრა – არ მისცა ბედი“ – იტყვის რობერტ სტურუა მას მართლაც საოცარი სილამაზე ამშვენებდა, სწორედ 19 წლის თათია ხაინდრავა იქცა მხატვარ უჩა ჯაფარიძის შთაგონების წყაროდ და ნესტან-დარეჯანის მინიერ განხორციელებად, როცა „წერილის ეპიზოდის“ ილუსტრაციას ქმნიდა.

მას ჰქონდა იშვიათი ხმა, პოეზიის არსში წვდომისა და გადმოცემის უბადლო ნიჭი და იყო დიდოსტატი მხატვრული კითხვის. „მისი კითხვა უშუალო იყო, ლალი, მსუბუქი, მთის ჰაერივით გამჭვირვალე და სუნთქვასავით ბუნებრივი!“ – ამბობდა ანა კალანდაძე.

მას არ რგებია არც ერთი პრემია, არც ერთი წოდება, არც ერთი ჩინი, მას მხოლოდ მერაბ კოსტავამ უბოძა ჩინი – „უჩინო თათია“.



ამ ქვეყანას გაგრის მახლობლად მოევილინა. სიმონ ხაინდრავა 18 წლის იყო, კონსტანტინე გამსახურდიას 17 წლის დაზე – სოფიოზე რომ იქორწინა, მაგრამ შვილი არ უჩნდებოდათ, არ უჩნდებოდათ 22 წლის მანძილზე და აი, ქორწინებიდან 22 წლის თავზე, ქვეყანას მოევილინა თათია ხაინდრავა, მოევილინა გაგრაში. გაგრაში იმიტომ, რომ მშობლები გემით მოგზაურობდნენ და სწორედ გაგრის მახლობლად გამხდარა დედა შეუძლოდ ბედნიერმა ბავშვობამ მხოლოდ 7 წელიწადს გასტანა პატარა თათია მტირალა ყოფილა, კონსტანტინე გამსახურდია სწორედ იმხანად წერდა „მთვარის მოტაცებას“ და კაროლინას შვილსაც ამიტომ დაარქვა თათია მერე მოვიდა ავბედითი 37, მართლა სატირალი ხანა სოფიო გამსახურდიას 2 ძმა დაუხვრიტეს, დაუხვრიტეს ძმისშვილიც და ქმარსაც თავი მოაკვლევინეს მამის თვითმკვლელობამდე იყო ბარბაროსული გამოსახლება კუთვნილი ბინიდან – არ გაატანეს არათუ ავეჯი, ტანსაცმელიც კი. მალე კი ავლაბარში, ერთ ბნელ ოთახში თათიასთან შეხიზნულ სოფიო გამსახურდიას ამცნეს, რომ სიმონი ცუდად იყო სოფიო გამსახურდია ავა თიანეთში, სადაც იმალება დევნილი სიმონ ხაინდრავა. ავა და ნახავს ფილტვების



ანთებით გათანგულ ქმარს. ნუთით ეზოში გამოდის, უკან შებრუნებულს კი შემზარავი სურათი ხვდება – მომაკვდავი ქმარი და სიტყვები: „თათიას კონსტანტინე გაგიზრდის“

კონსტანტინე გამსახურდია მართლაც ითავებს თათიას გაზრდას. ცოცხალი კლასიკოსი სამუდამოდ აღიბეჭდება მის მეხსიერებაში – ფეხქვეშ გაშლილი დათვის ტყავით, ძვირფასი კალმით, მაგიდაზე ერთი ბოთლი შავი ღვინით, მუქი ჩაით ან ყავით, შავი ქლიავით თათია ლექსებს უკითხავდა პატარა ზვიადსა და თამარს. „ერთხელ დიდოთახში ბავშვებს ვუკითხავდი ლექსებს. კონსტანტინემ დამიძახა და მითხრა: „აბა, ერთი ხმამაღლა წამიკითხეო“.

მომინონა იმ დღიდან მხატვრული კითხვა უმთავრესი გახდა ჩემს ცხოვრებაში“, – დანერს თათია ხაინდრავა წლების შემდეგ პატარა თათიას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჰყვება ის სითბო და მზრუნველობა, რასაც მის მიმართ ავლენდნენ კლასიკოსი ბიძა და მისი უსათნოესი მეუღლე – მირანდა ფალავანდოშვილი. სითბო იმდენად დიდი იქნება, რომ, როდესაც თათიას ქალიშვილი შეეძინება, მას სწორედ მირანდას დაარქმევს – საყვარელი ბიცოლას პატივსაცემად. მირანდას შეძენამდე კი

## ისტორიის ფურცლებზე

დიდი გზაა – ტკივილებითა და ტრაგედიებით დანალმული. ტკივილები და ტრაგედიები არც მერე მოაკლდება. ტკივილები, დრამები, ტრაგედიები – მისი ცხოვრების განმეორებადი და შეუქცევადი ფაზებია. თათიას ჰქონდა ბრწყინვალე გარეგნობა, საამო ხმა, კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, კითხულობდა საოცრად, მაგრამ დედას არ უნდოდა, მის შვილს თეატრალურზე ჩაებარებინა. გოგონა დაჰყვა დედის ნებას – უნივერსიტეტს მიაშურა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს, მაგრამ ერთმა საღამომ მისი ბედი ისევ სცენას დაუკავშირა. უნივერსიტეტში იოსებ გრიშაშვილს ხვდებოდნენ სტუდენტები. თათიამ გრიშაშვილის „ხელთათმანის ლილი“ წაიკითხა. საღამოს დასრულებისთანავე აღფრთოვანებული გრიშაშვილი კულისებში შევა და თათიას ამცნობს: ხვალ კონსტანტინეს დაფურეკავ და თეატრალურ ინსტიტუტში უნდა წაგიყვანო.



წაიყვანს კიდეც. თათია წაიკითხავს „ხელთათმანის ლილს“ და მას მაშინვე ჩარიცხავენ თეატრალურ ინსტიტუტში. ბედნიერ სტარტს უბედურება მოჰყვა. თათია მელანიას თამაშობდა დოლო ალექსიძის დადგმულ მაქსიმ გორკის „მზის შვილებში“. თამაშობდა იმდენად კარგად, რომ პედაგოგმა უთხრა კიდეც: იმდენად კარგად გამოგივიდა, შენ ამას ველარ გაიმეორებო. რეჟისორის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა – თათიას მანქანა დაეჯახა და კარგა ხანს ჩამოშორდა სცენას. დაამთავრა ინსტიტუტი, მეტყველების კათედრაზე დატოვეს, გამოჯანმრთელებულს კი თეატრებში აღარ იღებდნენ. ის არ გააკარეს სცენას, მისთვის ყველა თეატრის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. რეალურად კარი დაკეტილი იყო მაშინაც კი, როცა თეატრში უშვებდნენ და როლებს არ აძლევდნენ, ან თითქმის არ აძლევდნენ. არადა ნიჭიც ჰქონდა, ბრწყინვალე ხმაც და გარეგნობაც და არც

პროტექტორები ჰკლებია. თავადვე იხსენებდა, რომ მის თეატრში მისაყვანად ბევრს იბრძოდნენ სერგო ზაქარიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი ის კი არა, თამარ ნულუკიძე რუსთაველის თეატრის დირექტორთანაც შეჰყვა და კატეგორიულად მოსთხოვა – მე ისევ წავალ გადასახლებაში და ჩემს შტატში ეს ახალგაზრდა მიიღეთო, მაგრამ მაინც არ მიიღეს. არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ თათია ხაინდრავას აქტივში უკვე იყო შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილები“ – რადიოდანგამა, რომელიც შესულია ოქროს ფონდში. თეატრებში არ იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკოსი ბიძა დაჰყვებოდა თეატრებში და რეჟისორებს სთხოვდა, შტატში მიეღოთ. წიგნებსაც ჩუქნიდა ავტოგრაფებით, მაგრამ თათიას თეატრში არ იღებდნენ. მოგვიანებით

სევდიანად იტყვის თათია ხაინდრავა, რომ მათთვის (რეჟისორებისთვის) მაშინ რაიკომის მდივნის ტელეფონის ზარს უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვას შემდეგ როგორღაც თითქოს ნავსი გატყდა, თათია ბათუმის თეატრში მიიწვიეს, მთავარი როლიც ერგო, მაგრამ ამ ხანამ სულ ერთი წელი გასტანა პატარა მირანდას უდედოდ უჭირდა და თათია იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. იმხანად სანკულტურის თეატრს ლილი იოსელიანი ჩაუდგა სათავეში. თათიაც წაიყვანა. თამაშობდა კიდეც ლილი იოსელიანის სპექტაკლში „ჩვენი ერთი საღამო“. ლილი იოსელიანი გაიხსენებს, რომ თათია ხაინდრავა იმ როლში განუმეორებელი იყო, შესანიშნავად მღეროდა, ცეკვავდა, მისი პლასტიკით აღფრთოვანებული იყო ლეგენდარული იური ზარეცკი. მაგრამ ეს ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდა, თეატრს მოშურნეები გამოუჩნდნენ. „სანკულტურის“ თეატრი უცებ ძალიან პოპულარული გახდა შემუშრდათ და ბრძოლა დაგვიწყეს ისეთი ქება და მოწონება გვექონდა, რომ სხვა თეატრებს შემუშრდათ დაფინანსება მოგვისპეს, არსებობა შეგვანყვეტინეს“ – იტყვის ლილი იოსელიანი. შემდეგ ძლივძლივობით თათიას შტატი გამოუჩნრიკეს მარჯანიშვილის თეატრში. თითქმის 30 წელი დაჰყო თეატრში, მაგრამ მეტი ბედის დაცინვა რა გინდა, რომ ხმით განთქმულ მსახიობს მხოლოდ უსიტყვო როლებს აძლევდნენ. მასოვკაში კლავდნენ მის ნიჭს. „30 წლის განმავლობაში,

მხოლოდ „რას იტყვის ხალხში“ ვითამაშე. ლალი ნიკოლაძემ მომცა როლი. ერთხელ ზანდა იოსელიანმა მცა პატივი – თავი მოიავადმყოფა და ხუხაშვილის „მოსამართლეში“ დედა ვითამაშე მარჯანიშვილის თეატრში ვიმუშავე მთელი 30 წელი, მაგრამ ხმა არ ამომალეზინეს. მასიურ სცენებში კი, იცოცხლე, წარამარა მათამაშებდნენ. თუ რომელიმე მსახიობი ავად გახდებოდა, მხოლოდ მაშინ მალისებდნენ სცენაზე გასვლას“, – იტყვის მოგვიანებით.

არ გააკარეს სცენას, არც ეკრანს. ერთადერთი როლი აქვს კინოში ნათამაშები – ელისაბედი სიკო დოლიძის გადაღებულ „კაცია ადამიანში?!“. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ცოქალის როლი მქონდა. რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა გადაღებული ფირიდან ამომჭრა“, – იტყვის გულმოკლული ის არ გააკარეს არც ეკრანს, არც სცენას. მიაჯაჭვეს მხოლოდ რადიოს, მაგრამ ის მაინც ავიდა სცენაზე. 1976 წელი მისთვის ყველაზე ბედნიერი იყო. უკვე 48 წლისა გახლდათ, მისი რეპერტუარით რობერტ სტურუა რომ დაინტერესდა. სტურუა, რომელიც იმხანად „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამდა, რომელსაც უკვე დადგმული ჰქონდა „სეილემის პროცესი“, „ხანუმა“, „ყვარყვარე“ რეპეტიციების შუალედებში მთელი თვე უსმენდა სტურუა თათია ხაინდრავას მხატვრულ კითხვას, ზღვა რეპერტუარს. დაბოლოს, თათია კითხულობს თარამ ემხვარის წერილს და გაისმის სტურუას ვერდიქტი: „მე თქვენ დაგიდგამთ სპექტაკლს!“. შვიდი თვე მუშაობდნენ სპექტაკლზე. ამ უბედნიერეს წუთებშიც არ დაინდო ბედმა – აფიშები უკვე იუნწყებოდა, რომ რუსთაველის თეატრში გაიმართებოდა „მზეო თიბათვისა“, რომ თათია სასწრაფო ოპერაციის გასაკეთებლად გადააფრინეს მოსკოვში. მაგრამ 1976 წლის 17 მაისს ის ახლად ნაოპერაციები მაინც წარდგა მაყურებლის წინაშე. ერთი კვირა ტევა არ იყო რუსთაველის თეატრში. „მზეო თიბათვისა“ 170-ჯერ აჩვენეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. „რობერტ სტურუამ ოქროს გვირგვინი დამადგა თავზე“, – ასე აფასებდა ამ ფაქტს თათია ხაინდრავა. ის მაინც დაბრუნდა სცენაზე, დაბრუნდა მარტო – იდგა და კითხულობდა ქართულ პოეზიას. პოეზიას, რომელსაც მუდამ ერთგულვებდა და არც პოეზია ღალატობდა მას.

ბედმა მარტო დგომა არგუნა ცხოვრების სცენაზეც. ტრაგიკული აღმოჩნდა მისი პირველი სიყვარული. მას და აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის ვაჟს – გურამ კუპრაძეს უყვარდათ ერთმანეთი. „რამდენჯერაც შევხვდებოდი, მუხლები მიკან-

კალებდა, მაშინ ასეთი სიყვარული იყო“ – გაიხსენებს უკვე ღრმად მოხუცებული. მაგრამ ბედმა არც აქ დაინდო. გურამ კუპრაძე 19 წლის დაიღუპა – თევზაობისას თავბრუ დაეხვა და მტკვარში დაიხრჩო. იმ საბედისწერო დღესაც შეხვდა თათიასა და თათიას დედას სათევზაოდ გზადმიმავალი და უთქვამს კიდევ, თევზს დავიჭერ და პირდაპირ თქვენთან მოვალო. თათია და დედამისი მაშინ კონსტანტინესთან ცხოვრობდნენ. ელოდნენ იმ დღეს გურამს, მაგრამ კლასიკოსის სახლში ტელეფონის ხმა გაისმა. ტელეფონი თათიამ აიღო – „ვიქტორ კუპრაძის ვაჟი წყალში დაიხრჩო, ვეძებთ და კონსტანტინემ თავისი ვილისი გამოგვიგზავნოს“. თათიას ტყუილი ეგონა, მაგრამ დაბეჯითებით ითხოვდნენ კონსტანტინეს არც შემდეგ გაუმართლა სიყვარულში. ქალიშვილი რამაზ ჩხიკვაძისგან შეეძინა, მაგრამ მათი თანაცხოვრება არ შედგა თუმცა ამ სიყვარულმა მისცა მას ყველაზე დიდი ბედნიერება – მირანდა. „მე ვიპოვე ბედნიერება ჩემი შვილის სახით!“ – ამბობდა ის. ცხოვრებამ არ დაინდო თათია. რაღას არ მოასწრო, რა ტკივილი არ გადაატანინა – ჯერ მირანდა ფალავანდიშვილის სიკვდილი, შემდეგ სრულიად ახალგაზრდა თამარ გამსახურდიას დაღუპვა, კონსტანტინეს გარდაცვალება ურთულესი პერიპეტეიები, რაც თან ახლდა მის ხელში გაზრდილ ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. შემდეგ ზვიადის სიკვდილი

ბედმა არ დაინდო უჩინო თათია, მაგრამ ამ ცხოვრებამ მასზე მაინც ვერ გაიმარჯვა. ის ვერ გააბოროტა, ვერ დაბოლმა, ვერ წაართვა სხვისი წარმატებით სიხარულის უნარი, ვერ წაართვა მადლიერების გრძნობა. მადლობელი იყო დოდო ჭიჭინაძის, რომელიც საშუალებას აძლევდა, ხანდახან მაინც ეთამაშა არზაყანის დედის როლი „მთვარის მოტაცებაში“, მადლობელი იყო ზანდა იოსელიანის, რომელმაც ერთხელ ავადმყოფობა მოიმიზეზა, რომ სცენაზე თათია გამოსულიყო მადლობელი იყო რობერტ სტურუასი – უკანასკნელ ამოსუნთქვამდე – თვლიდა რომ მან ოქროს გვირგვინი დაადგა. მართლაც ბევრ მსახიობს არ ღირსებია ასეთი გვირგვინი, მაგრამ ვგონებ, არც თავად სტურუას არ ღირსებია ბევრი ასეთი მადლიერი არტისტი შემოქმედების თუ ცხოვრების გზაზე. რეჟისორის ხვედრია გაუძლოს გუშინ მადლიერი არტისტის ხვალ და ზეგ უმადურებას. თათია ხაინდრავამ 30-ზე მეტი წელი ატარა მადლიერება ოცნებასთან ერთად – ერთხელ მაინც ეთამაშა მოხუცი ქალის რაიმე ეპიზოდური როლი სტურუას რომელიმე სპექტაკლში.

რეჟო შატიკაშვილი

# ზვიადის გზა

## მანონი ნურნუშია



როგორც კი მარტი დადგება, ასე მგონია ყველა დღე ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. ეს ყველა ზვიადისტის გულში ასეა ალბათ. თოთო-ოროლა შემორჩა საქართველოს ამ უდიდესი ადამიანის გზის გამგრძელებელი... რატომ თითო-ოროლაო, მკითხავს ალბათ მავანი. იმიტომ, რომ მართლა ცოტა დარჩა ნაციონალების ხელში ამ იდეის პირნათლად მატარებელი ადამიანი, რომელმაც გაუძლო ნაციონალების ზეწოლას და არ გაიყიდა. რომ არა „ზვიადისტი ნაციონალები“, ხელისუფლებაში როგორ მოვიდოდნენ, ეს მე მკითხონ ენაგრძელმა მიშისტებმა. მაშინაც გაგვასულელეს „ზვიადისტები“! რა დამავინწყებს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებს... წინა ხაზზე ჩვენი ბიჭები, აფხაზეთის ომგამოვლილები,

შემართულები და ამაყები მოყვებოდნენ წინ ასიათასიან კოლონას. გურამ აბსანძე გაგვიძღვა წინ და ჩვენც თავს არ ვზოგავდით. ვარდების მისაგვრელად მაშინ არავინ არ წასულა თბილისში, ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა გვეგონა ჩვენ და ამაყად ვაფრიალებდით კანცელარიის წინ შინდისფერ დროშას. მოგვატყუეს, როგორც ყოველთვის, სულში ჩაგვაფურთხეს (ქომრგებეს!) და მერე მაგარი პანჩური ამოგვარტყეს. გაიმარჯვეს თუ არა, ხელისუფლებაში როგორც კი მოვიდნენ, ზვიადის სახელის გაგონებაც კი არ უნდოდათ ამ მანქურთებს.

რატომ დავარქვი მე ჩემს წერილს „ზვიადის გზა“? იმიტომ, რომ დღეს არავის ახსოვს რისთვის, რა ფასეულობებისათვის იბრძოდა ზვიად გამსახურდია. ნაციონალები ისე გაერთნენ ევროპისაკენ და დასავლეთისაკენ სწრაფვაში, რომ ქართველი ხალხი დაავინყდათ. კარგად კი გაახსენეს თავი გასული წლის 1 ოქტომბერს! რამდენი დაცინვა და ღალატი გადაიტანა ჩვენმა ერმა, გვავინყებდნენ და გვაძულებდნენ ყველაზე ძვირფასს, რასაც რელიგია და მართლმადიდებლობა ჰქვია. დღე და ღამე გვიჩიჩინებდნენ, რომ ჩვენი ხსნა დასავლეთშია, უმაგათოდ ჩვენ გავქრებით, როგორც ერიო. რა დავრჩით, უფრო სწორად, რა დარჩა საქართველოსგან იმ დასავლეთის მხარდაჭერით, რომლისგანაც ჩვენ გარყვნილების მეტი ვერაფერი გადმოვიტანეთ? მათგან რა უნდა გვესწავლა ქუჯისა და დავით აღმაშენებლის შთამომავლებს ხალხო? ყოველთვის ასე იყო, ყოველთვის მოღალატეების მიერ, ჩვენი ქართველების მიერ იჯიჯგნებოდა საქართველო. საკუთარი ბედნიერების და კეთილდღეობის ძიებაში გართულებს ავინყდებოდათ ყველა და ყველაფერი ქართული. ვითომ ქართველი ერის გადარჩენისათვის იბრძვიან და ბოლოს გამოჩნდება, რომ თითონ გაილაღეს ცხოვრება და ქართველი ხალხი ისევ მშვიერი და უპატრონოა.

# საქართველოს პირველი პრეზიდენტი

დღეს კი მიდის გაქანებული ბრძოლა, რომელ მხარეს უნდა წავიდეთ, ვისი ძალა უნდა ვიყოთ, რუსის თუ ამერიკელის. და ძვირფასებო, ეს ხომ არ იყო ის გზა, რომლითაც ზვიად გამსახურდიას მივყავდით? „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო“ – ტყუილად როდი ათქმევინა დიდმა ილიამ ლელთ ღუნისას, „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“ – ტყუილად კი არ წამოაძახეს ზვიად გამსახურდიას...

სწორედ ამიტომ, ამ შუვალის პრინციპულობისათვის აცვეს ჯვარს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ზვიად გამსახურდია. დღეს კი მის სახელს საჰაიპაროდ წამოიძახებენ ხოლმე. სანამ ქართველი ერი არსებობს, ზვიადის ხსოვნა უკვდავია, მისი საქმეები სამარადუაშო. მოვა დრო, ეს ალბათ მალე არ მოხდება, მაგრამ ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხავს ქართველი ერი, ადამიანს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ქვეყნის და ერის ბედნიერებას. დაგვაზინყდა ის, რომ რაც დღეს გვაქვს, სწორედ მისი დამსახურებით გვაქვს და იმ ბიჭების დამსახურებით, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეენივნენ. თქვენ შეიძლება ამის დაზინყება განყოფილ, მაგრამ ისტორია არაფერს ივინყებს. ის ხალხი, რომლებიც ნხედრიონს მოუძღოდნენ წინ და სამეგრელოს რეგიონი ცეცხლის ალში გაახვიეს, ცხრა წელია პარლამენტიდან გვმოძღვრავდნენ. არავის არაფერი არ დაზინყებია, არც თქვენი „საქმენი საგმირონი“. ქართველი ერი არც იმ ადამიანს დაივინყებს, ვისაც ლომის წილი მიუძღვის ზვიად გამსახურდიას განადგურებაში და საქართველოს გაპარტახებაში, ქართველი ერის ნომერ პირველ მტერს, ედუარდ შევარდნაძეს. მე არ შემეძლო ეს ადამიანი ამ წერილში არ მეხსენებინა. გასულ საუკუნეში თუ რამ უბედურება დაატყდა თავს საქართველოს, ყველა მის სახელს უკავშირდება. ადამიანის, რომლის გასამართლებასაც მოვითხოვდით ქართველი ერი, სააკაშვილმა კრწანისში დააბრძანა და სრული განცხრომით ცხოვრობს დღეს.

მჯერა, როგორც ზვიად გამსახურდიას სახელია უკვდავი, ასევე, სანამ ერთი ქართველი მაინც იქნება საქართველოში, სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა არ შენელებს. ჩვენ არა ვართ დამოუკიდებელი ერი. ხან ამერიკის მონობა გვინდა, ხან რუსეთის და გვაზინყდება ისტორია, როცა რუსის ჯარი ჩექმებით თელავდა ჩვენს თავმოყვარეობას, გვაზინყდება 9 აპრილი, გვაზინყდება აფხაზეთი და ოსეთი ვინ წავგვართვა და სანამ სულ არ გადავშენებულვართ, არ დავივინყოთ


ის გზა, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ გვატარა, გზა, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს!

რატომ უყვარდათ და რატომ უყვართ ასე ფანატიკურად ზვიად გამსახურდიას საქართველოში? იმიტომ, რომ ის სულით და ხორცით ქართველი იყო, იმიტომ, რომ საკუთარზე მაღლა საქვეყნო საქმეს აყენებდა, იბრძოდა ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისათვის, ენის, მამულის და სარწმუნოების განმტკიცებისათვის!

ამ პატარა ლექსით კი მინდა ჩემი საქართველო გავამხნევო და ყველა ქართველს მივულოცო ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე:

კიდევ რა დაგჩნა საქართველოვ  
გაუყოფელი,  
ნეტავ რა დარჩი, რა ვერ შეძლეს რომ  
გაეუიდათ,  
თუ დაგჩნა, ჩემო, შენ ნაწილი  
დაუგლეჯავი,  
ყოღღანაშვილთა რა ვერ შეძლეს რომ  
გაეზიდათ?!  
პატარა იყავ, ახლა სულ მთლად  
დაპატარავდი,  
ულირსთა შვილთა ჩამოგატყრეს ორივე  
მხარე,  
ნუ დაღონდები, იქონიე ღმერთის იმედი,  
ურჯულთაგან დაგიფარავს შენ  
წინოს ჯვარი.  
გულს ნი გაიტყეს ჩემო ერთავ,  
ნუ შეშინდები,  
კვლავ გამოჩნდება, გაგახანტებს  
ბიჭი შავლეგო,  
ააფრიალებს თეთრ გუმბათსე შინდისფერ  
დროშას,  
მტრებს შემოხმანებს, მე დაგაერთო ახლა  
შავ დღესო!  
მაშინ ქართველხო, დავივიწყოთ შური და  
მტრობა,  
მტრის შესამუსრად მამა-პაპის ხმალი  
ავლესოთ,  
და გუთნისდედის გამალებით გავლესულ  
კვალსე,  
მძობის, ერთობის, მეგობრობის თესლი  
ჩავთესოთ!

ბანონი ნურნუშია



# ქალაა წუთისოფლის სუფრაზე სრულფასოვანი აღზილი დაიბაჰვიდრა

## ილია ჭავჭავაძე

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სინდისის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსული მდიდარია გამოჩენილ ქალთა სახელებით. მათი დედობა, მამულისათვის თავდადება, ფიზიკურ მშვენიერებასთან შერწყმული პატიოსნება, მაღალი ზნეობა სამშობლოს სინდისის სიმბოლო იყო. შორეულ წარსულში ქალის როლზე მოგვითხრობს ქართული ზეპირსიტყვიერება და წერილობითი ძეგლები. ისინი ნათლად მეტყველებს ქვეყნისათვის თავდადებულ ქალთა საგმირო საქმეებზე. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნასა და დაცვაში. ქართველი ქალები არა მარტო ოჯახურ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ მძიმე განსაცდელის ჟამს აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის დაცვასა და მტრის განადგურებაში. ქართველი ქალი ოჯახში მუდამ ერთგული დედა იყო, ბრძოლაში - შეუდრეკელი და უშიშარი მებრძოლი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში - აქტიური და ენერგიული.



საქართველოს მფარველი, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქალია - **ღვთისმშობელი მარიამი**. ასევე ქალი - **წმინდა ნინო** - მიჩნეულია ქართველების განმანათლებლად და ქრისტიანობის გამავრცელებლად. ძლიერი საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლოც ქალია - **თამარ მეფე**.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის მაჩვენებელია მისთვის მინიჭებული განქორწინების უფლება, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში აკრძალული იყო. თუ ქართული სამართლის ძეგლებს მივმართავთ, ვნახავთ, რომ კანონი განქორწინებას დასაშვებად თვლიდა ზოგ შემთხვევაში (მაგ., ქმრის ღალატის, მამაკაცის იმპოტენციის დროს). ოჯახის მიტოვების შემთხვევაში კი ორივე სქესის მეუღლე ისჯებოდა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ქალის სოციალური ფუნქცია მეუღლეობით, ახალი თაობის კვლავწარმოებით და საოჯახო შრომით განისაზღვრებოდა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, საოჯახო მოვალეობის შესრულებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ქალის მიერ მამაკაცური სამუშაოების შესრულება საზოგადოების მხრიდან მოწონებით არ სარგებლობდა.





მაგრამ XIX საუკუნეში უკვე დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მძაფრი კრიტიკა. დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი საზოგადოებრივ მოქალაქეობრივ უფლებას დაუკავშირა. იგი ქალის პროფესიულ შრომას საზოგადოების ნორმალური განვითარების და ქალის თავისუფლების აუცილებელ პირობად თვლიდა.

ილია, როგორც პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, აღიარებდა ქალის თანასწორ უფლებებს და მოვალეობებს, საზოგადოებრივი საქმიანობის და კულტურის ყოველ დარგში. ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგი ხედავდა იმ ჩანასახებს, რომლებსაც მოჰქონდა ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან. ი. ჭავჭავაძე წერდა: „**შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მონვეულ იქნება ნუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად**“. (ი. ჭავჭავაძე, 1928).

ქალთა მოძრაობამ, ილიას აზრით, ცხადი გახადა, რომ ქალებს შეუძლიათ საზოგადოებრივ შრომაში ჩაებან, ფასეულობა შექმნან და ამიტომ ის „**უსამართლობა, რომელიც დღეს აქომამდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამით გარეთ არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე, რომ ლუკმა-პურის საშოვრის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ველარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას**“. (იქვე გვ. 279).

ილიას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალთა მასების დაინტერესება თავიანთივე გათავისუფლების საქმით. მას „**უკბილო საყვედურად და უქმ ჩივილად მიაჩნდა ქალების მამაკაცებზე წუნწნი - აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ**“ და ქალთა განთავისუფლების მთავარ პირობად თვით ქალების ინიციატივა

და აქტიურობა მიაჩნდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ თავიანთი სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ამ გზით მათ შეუძლიათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება, ანუ გათავისუფლდნენ. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეეგება „ქართველი ქალის წერილს“, რომელიც 1889 წლის 4 მარტის „ივერიაში“ დაიბეჭდა სათაურით: „**საზოგადოების საყურადღებოდ**“, სადაც „**ართველი ქალი**“ მოუწოდებდა ქალებს თვითონ აეღოთ თავზე ქალთა სასწავლებლის გახსნა და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ქართველ ქალებს თავი დაეღწიათ იმ თითქოს „უნმინდესი და უსამღვთოესი დანიშნულებიდან“ როგორცაა მხოლოდ დედობა, ცოლობა, დობა. ყოველივე ეს ილიას მიაჩნდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა - დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ. სწავლა-განათლების გზით დაამტკიცებს ქალი, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია, მამაკაცის მსგავსად, შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და და. ამ თემის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგე გ. თუმანოვთან კამათის დროს მიმართავს კარლ მარქსს: „**მოვიყვანო მარქსის ნათქვამს**“, - წერს ილია და მოჰყავს მისი შემდეგი სიტყვები: „**როგორც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა**“ (ი. ჭავჭავაძე, 1928).

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან

და უფროს-ერთს ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოუფვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ, რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰქვამს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შესაძლებლობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კიანგარიში არმოგვეყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითად, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუიორკში მოუგონია ტელესკოპი მინის ქვეშეთისათვის (ПОДЗЕМНЫЙ ТЕЛЕСКОП), ქალს გვარად მონტგომერს — ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გომამს — ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს — წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნის — მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის.

**“ნიწო რახვიაჟვილის გაეოხეჟლოჲა“  
 ბთაჟაჟობთ ნიგნეზის, ფასიანი  
 ქალაღების ბეჭღვას,  
 აწყობა-ღაკაბაღონეზას.  
 ღარაკეთ ნომერჲა: 599 74 68 10**

# ჩონგურის სიმღერა აწყოები აწყოების მოქმედება

ის სიმაღლე რომ ფასიანი იყო, ეს ვიცით. არადა თანამედროვე ცივილიზაციის ცხოვრება ხანდახან წარსულს ნისლად გადააფარება და მხოლოდ წინ მიიღვინის.

ნიგინი, „ხალხური სიმღერის მოამბანი“ ლადო გეგეჭორის ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიქმნა, რომელიც მთელი სიბრძნის-სიბრძნით ასახავს ჩვენი ფასიანის სიძლიერას. მებრძოლი (და არამებრძოლი) ჯიშისა და ბენის ბენიანობას.

გადავწყვიტეთ ქართული ფოლკლორის კიდევ უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით შევქმნათ ახალი რუბრიკა: „რაც დავიწყებით არ იბინდება“ და ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ მებრძოლი მომღერალი მოქმედები თუ ცალკეული პიროვნებები, ვინც შთამომავლობას ოქროს საბანძური შემოგთხუცებს.



ბეგლარი კახათელი იყო, ქიონია – ზუგდიდელი; მათ ბავშვობიდანვე აღეძრათ სურვილი დაუფლებოდნენ ხალხურ საუნჯეს. განსაკუთრებით აინტერესებდათ ეროვნული საკრავის, ჩონგურის ხალხში გატანა, სახალხო საკრავად გადაქცევა.

1990 წელს შეუღლდნენ, ახალდაქორწინებულთა ოჯახში ჩონგური და საჩონგურო სიმღერა თავდაპირველად პირადი გართობის საგანი იყო. მაშინ ჩონგურზე დაკვრა მნიშვნელოვან და საჭირო საქმედ არ იყო მიჩნეული. აკობიებმა კარგა ხანს გულში ატარეს ჩონგურის საჯაროდ დაკვრის სურვილი.

შემდეგ მათ ფიქრს დიდი გასაქანი მიეცა. ქიონია და ბეგლარ აკობიების მიერ ვირტუოზულად დაკრული ჩონგურის ხმოვანება არა მარტო ზუგდიდის რაიონს, არამედ სხვა ქალაქებს, რაიონებს და თვით საქართველოს დედაქალაქ თბილისსაც მისწვდა.

მეჩონგურეთა ანსამბლი თავდაპირველად ხუთი შემსრულებლისაგან შედგებოდა. შემდეგ მას კიდევ სამი წევრი შეემატა, ბოლოს კიდევ ოთხი შემსრულებლით შეივსო და ამგვარად 1930 წლიდან, თორმეტკაციან ანსამბლად იქცა. მეჩონგურეთა ანსამბლი სასიმღერო შემოქმედების საუცხოო ნიმუშებით წარსდგა მსმენელის წინაშე.

ჩონგურის შერეული გუნდი წარუდგა მწერალთა აუდიტორიას; შეასრულა ოცამდე სიმღერა – მეგრული, აფხაზური, სვანური, გურული და სხვა მელოდიები. გუნდი წარმატებით გამოვიდა მეცნიერთა წინაშე საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალში, სადაც პროფესორებმა სიმონ ჯანაშიამ და გიორგი ჩიტაიამ აღნიშნეს უდიდესი მნიშვნელობა ამ საქმისა, გუნდის ხალხურობა და ეთნოგრაფიული სანყისები. განსაკუთრებით აღინიშნა იმპროვიზატორი კომპოზიტორის ქიონია აკობიას მიერ ჩონგურის ოსტატური დაკვრა და აკობიების ქალიშვილის, ცხრა წლის ნუციკოს, წკრიალა ხმა და იშვიათი მუსიკალური სმენა.

სად არ იყვნენ, ვინ არ მოხიბლეს ამ იშვიათმა შემსრულებლებმა. აკობიები სრულიად საკავშირო პირველი გამოფენის მონაწილეები იყვნენ. მათ არაერთხელ მოაჯადოვეს საჩონგურო სიმღერებით მოსკოველი მსმენელი. აკობიების მოღვაწეობით დაინტერესდნენ კომპოზიტორები დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, გრიგოლ კოკელაძე, პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე და სხვა.

ქიონია და ბეგლარ აკობიებს საჩონგურო ყაიდის ოცდაათზე მეტი ხალხური მელოდია აქვთ შექმნილი.





### სოფიის რეგიონის სოციალური მდგომარეობის შესახებ

#### სოფის განვითარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაეხმარება

სოფის მუნიციპალიტეტის გამგებელი გორა ქაჯაია, გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი შოლინა კანკია სოფის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე სოციალურად დაუცველ ოჯახებს ესტუმრნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს მათი გასაჭირი და დახმარებას დაჰპირდნენ.

სოფის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ ოჯახებს (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხა გადაეცემა.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის გადამწყვეტილებით, შემოსული განცხადებებიდან განხილულ იქნა 9 უმწეო და სოციალურად დაუცველი ოჯახის საკითხი. ამ ეტაპისათვის კომისიის გადამწყვეტილებით 7 ოჯახს (ქანთარია ნაზი, ხოფერია ნანა, პერტია მზიური, შენგელია ლადო, ფარულავა ლალი და გვალია ნონა) დახმარების სახით რამოდენიმე ათასი ლარი გადაეცემა.



#### სოფის მოსახლეობას ახლო მომავალში წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება

სოფის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ამაშუკელი ესტუმრა. მინისტრის მოადგილემ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორთან ვლადიმერ ლაზარიშვილთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან ლევან შონიასთან და სოფის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ ერთად წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ქ. სოფი მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში განახლდება სათავე ნაგებობები, ჭაბურღილები და გამოიცვლება ქალაქის ქსელის ამორტივებული მილები. სამუშაოს დასრულების შემდეგ ქ. სოფის მცხოვრებლებს 16 საათიანი გრაფიკის ნაცვლად წყალი 24 საათიან რეჟიმში უწყვეტად მიეწოდება.



# რეგიონი

ქველმოქმედის დახმარება ხოზში კუკავების ოჯახს

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ხამისკურში მცხოვრებ მერაბ კუკავას ოჯახში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

კუკავების ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. მათი საცხოვრებელი სახლის ნანილი, სიძველის გამო ძლიერმა წვიმამ და ქარმა ჩამოანგრია. ავარიულ სახლში მცხოვრები ექვსსულიანი ოჯახი დახმარებას ითხოვდა. ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებელი დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდა. მისი დავალებით ადგილზე გავიდა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური, აღინერა სახლის მდგომარეობა და დადგინდა, რომ შენობა, საცხოვრებლად უვარგისობის გამო მცხოვრებთათვის საფრთხეს წარმოადგენდა. ოჯახის ახლობლების და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით აშენდა სახლის კედლები, რომელიც გადახურვას მოითხოვდა.

შპს „კარიერის“ გენერალურმა დირექტორმა თამაზ ბასილაიამ დაზარალებულ ოჯახზე ინფორმაციის მიღებისთანავე დახმარების სურვილი გამოთქვა და სახლის გადასახური მასალა, სხვა სამშენებლო მასალებთან ერთად დაზარალებულ ოჯახს საჩუქრად გადასცა.

კუკავების ოჯახი, მათი ახლობლები და ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობა თამაზ ბასილაიას და ყველა ქველმოქმედ ადამიანს მადლობას უხდის კეთილი საქმისთვის.



## კონფერენცია ხოზის დედათა მონასტერში

9 თებერვალს ხოზის დედათა მონასტერში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ხოზის მონასტრის სინმინდეთა და სიძველეთა კვლადკვალ“.

კონფერენცია, რომლის მომხსენებლებიც არქეოლოგი და ისტორიის დოქტორი რევაზ პაპუაშვილი და ისტორიკოსი, სინმინდეთა და სიძველეთა მოძიებისა და დაცვის საეპარქიო ცენტრის დირექტორი გოგიტა ჩიტაია იყვნენ, ფოთისა და ხოზის მიტროპოლიტმა გრიგოლმა გახსნა. კონფერენციას მეუფე გრიგოლთან ერთად, ხოზის მონასტრის წინამძღოლი დეკანოზი მამა ილია, ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებელი გორა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მომხსენებლებმა დამსწრე საზოგადოებას ფოტომასალების თანხლებით წარუდგინეს 2008-2013 წლებში ხოზის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების (კვლევების) შედეგები და ფოთისა და ხოზის ეპარქიის სინმინდეთა და სიძველეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრის სამომავლო სამუშაო გეგმები. კონფერენციის დასასრულს ფოთისა და ხოზის მიტროპოლიტმა გრიგოლმა დალოცა დამსწრე საზოგადოება, ადგილობრივ ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა და არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილს და გოგიტა ჩიტაიას წარმატებები უსურვა.



## დათა ხურცილავას სახელობის ტურნირი დასრულდა

16 თებერვალს დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე 2008 წელს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის ტრადიციული - რიგით მე-7 საფეხბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა. ფინალში ერთმანეთს სოფელ ხეთისა და ახალსოფლის საფეხბურთო გუნდები დაუპირისპირდნენ, გამარჯვება ღირსეულად ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა 4:0 მოიპოვა..

გამარჯვებულები პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ, დათა ხურცილავას ოჯახის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო გამარჯვებულებს დათას ძმამ დაჩი ხურცილავამ გადასცა. ფინალურ შეხვედრას ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებელი გორა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.





**ნოველები დანერილია მწერალ გივი სიხარულიძის მიერ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ბარიტონის — ლადო ათანაელის ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე დაყრდნობით. ნიბნი გამოიტა ქართულ და ინგლისურ ენებზე.**

# გოგონებები ნოველებზე

## სამჯარ მარმარილოს ქალი

1991 წელს გამართულ ფრანცისკო ვინიასის კონკურსზე წარსადგენად კულტურის სამინისტრომ რამდენიმე ოპერის სოლისტი დააფინანსა. მთელი გულით მინდოდა ნასვლა, მაგრამ რატომღაც სამინისტროში საამისოდ ფინანსები არ აღმოჩნდა, გადაწყვიტე ისეთი სპონსორი მომეძებნა, რომელიც ჩემს სურვილს გულთან ახლოს მიიტანდა და კონკურსზე გამგზავრების საშუალებას მომცემდა, და აი, გამოჩნდა ეროვნული კაცი გურამ ქაშაკაშვილის სახით, რომელმაც ეს მისია თავის თავზე აიღო.

რა დამავინწყებს ამ მოგზაურობით გამონვეულ სიხარულს. კონკურსი ბარსელონაში ჩატარდა, სადაც ცნობილი ვერდის ოპერიდან „ბალ-მასკარადი“ რენატოს არია შევასრულე, სიმღერის დანყებისთანავე შევამჩნიე, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა როგორ გადახედა გვერდით მდგომ კოლეგას და თავი ისე გააქნია, მივხვდი, რომ დღევანდელი გამოსვლა გამარჯვების შარავანდედით იყო გასხვივსნებული, ბოლო ნოტის აღების დროს, რაც მომღერლისთვის ძალიან ძნელია, ის ჟიურის წევრი ხელით მანიშნებდა, – ლადო! არ შეჩერდე, გააგრძელე სანამ სუნთქვა გეყოფაო. მეც გაღურჯებამდე არ შევჩერებულვარ. თვალები ბაზელოვის ავადმყოფივით ლამის ბუდიდან ამომიცივიდა. სიმღერა მხოლოდ მაშინ შევწყვიტე, როცა ყურში შეძახილი ჩამესმა – ბრავო, ბრავო! შინაგანად მივხვდი, რომ ეს გამარჯვების ნიშანი იყო. დასასრულს, უკვე ნათელი გახდა, რომ ბრავოს თვით სიმღერის მსოფლიო მეტრი, ჟიურის თავმჯდომარე, ბარიტონების მეფე ჯუზეპე ტადეი და ჟიურის წევრი იტალიელი პრიმადონა მაგდა ოლივიერო გაჰკიოდნენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გრანპრი და პირველი პრემია მომანიჭეს. დაჯილდოების დროს,

უეცრად თვალთან იმ ანგელოზის სახემ გაირბინა, რომელსაც მთელი ახალგაზრდობის წლები სიზმარში ვხედავდი. იადონის ხმაზე გალობდა, მილიმოდა და უსიტყვოდ მანიშნებდა, გამომყევო. იგი თვალთაგან მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა პრემია უკვე ხელთ მეპყრა. ხოლო ჩემი მეუღლე მანანა ჩიქოვანი, რომ გავიცანი, მივხვდი იგი თვით უფლის მიერ იყო ჩემს ცხოვრებაში შემოგზავნილი, რამეთუ ანგელოზს, რომელიც სიზმარში მეცხადებოდა მანანას სახე ჰქონდა. მას შემდეგ 17 წელი გავიდა. ჯუზეპე ტადეის ვენის საოპერო თეატრში 80 წლის იუბილეს უხდიდნენ. ამ ასაკში მან კიდევ შეძლო თავის ხმით მსმენელის დატყვევება. როცა მე და ჩემი მეუღლე, კულისებში მისალოცად შევედით, მან თვალეგაბრწყინებულმა, ყველას გასაგონად შესძახა: ბატონებო! აი, ის ბრწყინვალე ბარიტონი, რომელსაც მე გრან-პრი და პირველი პრემია გადავეციო. მერე თავისთვის ჩაიღიმა და წარმოსთქვა: – გრან-პრის თან ახლდა მარმარილოს შიშველი ქალის ქანდაკება. მერომ ქალბატონი მანანა ნანახი მყოლოდა, პატიოსნად გეუბნებით, გრან-პრის შიშველი ქალის გარეშე გადავცემდი, რამეთუ მარმარილოში გასხვივსნებული მშვენიერება მისთვის თურმე თავად ღმერთს უბოძებიაო.

ალბათ გახსოვთ 90-იანი წლების საქართველო, ომი, განუკითხაობა, სწორედ ამ დროს თბილისში ჩემი სახლი გაქურდეს, ოქროს მედალი წაიღეს და მარმარილოს შიშველი ქალიც თან გააყოლეს. ძალიან განვიცადე და ეს ამბავი ბარსელონის ოპერის დირექტორს ვუამბე. სხვათაშორის, ბარსელონაში კატალონიის მოედანზე არის ზუსტად ისეთი მარმარილოს ქალის ბიუსტი. როცა ბარსელონაში ვერდის „ოტელოში“ იავოს პარტია შევასრულე, პრესაში დაინერა, ბედნიერია ის ოტელო, რომელსაც ასეთი იავო ჰყავსო. საოპერო

ხელოვნების ისტორიაში მოხდა საოცრება - ერთი და იგივე პრემია ერთი და იგივე მომღერალს მეორედ გადასცეს. ოქროს მედალი და მარმარილოს შიშველი ქალის ბიუსტი კვლავ ჩემი საკუთრება გახდა. სხვათაშორის, ბარსელონაში, კატალონიის მოედანზე არის ზუსტად ისეთი მარმარილოს ქალის

ბიუსტი. როცა ბარსელონაში ვერდის ოტელოში იაგოს პარტია შევასრულე, პრესაში დაინერა: ბედნიერია ის ოტელო, რომელსაც ასეთი იაგო ჰყავსო. მე კი დავამატებ: ბედნიერია ის ლადო, რომელსაც ასეთი მანანა ჰყავსო-მეთქი.

### ავტობრაფი ქალის მკერდზე...

რუმინეთში, ენესკუს ფესტივალზე მაკბეტი ვიმღერე. ლედი მაკბეტს ჩემი კურსელი და ახლო მეგობარი იანო თამარი მღეროდა. ორივეს უდიდესი წარმატება გვხვდა წილად და სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ბედნიერები ვბრუნდებოდით. სასტუმროს კართან ლონდონიდან ჩამოსული ერთ-ერთი ქალბატონი დაგვხვდა. არც აცია, არც აცხელა, მკერდი გადაიღელა და შეჰყვირა: თუ თქვენ მკერდზე ავტოგრაფს არ დამანერთ, იცოდეთ, რომ ქალთა მოდგმის წინაშე მიუტყევებელ შეცდომას დაუშვებთო. მე დაბნეული ვუყურებდი იანოს, რომელსაც ისტერიული სიცილი წასკდა, როცა დაწყნარდა, მითხრა ჩემო ლადო, ამ ქალის


ღალატი სამშობლოს ღალატს ნიშნავს. მადლობა უფალს, რომ ალაზნის ჭალებიდან აფრენილ მამალ ხობობს დიდი ბრიტანეთის ზეციიდან მოფრენილი პატარა ჩიტი თავისი მკერდის შენი ავტოგრაფით შემკობას გთხოვსო. ამ სიტყვების შემდეგ ისე, რომ არც კი დავფიქრებულვარ ამ ულამაზეს ქალბატონს მკერდი ავტოგრაფით დავუმშვენე. მხოლოდ ჩემი შემოკლებული გვარის ნაცვლად ნამდვილი გვარი დავანერე, ქალს დაბნეულობა შევატყვე, მაგრამ ვგრძნობდი, პროცესი როგორ სიამოვნებდა. ხოლო როდესაც ჩემს მეუღლეს ხელში ვიდეო გადამღები შევნიშნე, მივხვდი, რა უნიკალურ საჩუქარს უმზადებდა იგი საოპერო ჟანრის მოყვარულთ.


### წყნეთური იეზი

მოგეხსენებათ, რომ სტუდენტობის დროს წმინდა გიორგის სახელობის ქაშუეთის ეკლესიაში ვგალობდი. ეკლესიის წინ იებით სავსე კალათით წელში მოხრილი მოხუცი კაცი იდგა, რომელიც წმინდანს უფრო გავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს.

გამოველაპარაკე, მაინტერესებდა სადაური იყო, - წყნეთელი ვარო, მითხრა. უსახსრობის გამო დილის 6 საათზე წყნეთიდან ფეხით ჩამოვდივარ და უკან კვლავ ფეხით ვბრუნდებიო. გული დამეწვა, ჯიბიდან ახლად აღებული ჯამაგირი ამოვიღე, ჩემთვის ხუთმანეთიანი დავიტოვე, დანარჩენი კი მას ვაჩუქე. მოხუცი გაშტერებული მიყურებდა, ვერ მიხვდა, ცხადი იყო თუ სიზმარი, როცა გამოერკვა, ალალ-მართლად, გულიდან ამოხეთქილმა მადლიერების ნიღვარმა ლამის წამლეკა: მადლობა უფალს, შენნაირი მამულიშვილის გაჩენისთვის, შვილო, თუ ხუთ წუთს დამითმობ, ერთ ამბავს მოგიყვებო, მითხრა. გნებავთ ერთ საათსაც დაგიტომბთ-მეთქი, ვუპასუხე. მაშინ მოხუცმა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის ამბავი მიაშობ, ყვებოდა იმის შესახებ, თუ ჯორზე შემჯდარ იესოს ქალაქის

შესასვლელში ზეთის ხილის ტოტები როგორ დაუფინეს და როგორი ოვაციებით, როგორი სიყვარულით მიიღო იგი ქალაქის მოსახლეობამ. იესო კი თავმდაბალი, მოკრძალებული, იჯდა ჯორზე, სათნო თვალებით უყურებდა თვისტომს და მადლობას უხდოდა მათ ასეთი სიყვარულისთვის. ჯორმა იფიქრა, რომ ხალხი მას ესალმებოდა და ისეთი ყროყინი ატეხა, ნორმალურ კაცს მისი მოსმენისას გული გაუსკდებოდა, ამ ეკლესიასთან უკვე რამდენიმე წელია ვდგავარ, ხან მოწყალებას ვითხოვ, ხან კი ყვავილებს ვყიდი. მოწყალების გამღებთა და მყიდველთა უმრავლესობა იესოს ჯორს მაგონებს, რომელთაგან მოწყალების გაღება-შეგინების ტოლფასია. შენ კი, შენი გულიანი, სულიდან ამოსული ნეტარი ქცევით იესოს უფრო გავხარ, ვიდრე ცოდვილ კაცთა მოდგმას. მე მისანი არ გახლავარ, მაგრამ უფლის წყალობით იმის აღქმა შემიძლია, რაც უბრალო მოკვდავს არ ძალუძს. ვხედავ, ბედის ვარსკვლავი, რომელიც თავზე დაგტრიალებს, სამეფო გვირგვინს ჰგავს. იარე ამ გზით, რომელიც უფალმა იესომ დაგანათლა, სხვას თვითონ ცხოვრება განახებს.





# „ზეციური ასეურის“ ქაჩთვეური გმიხეები

ამ სტატიის დაწერა-არდაწერაზე რამდენიმე დღეა ვფიქრობ. მესმის, რომ ქართველთა დიდი ნაწილი ემოციურადაც, ფიზიკურადაც გადაიღალა. ისიც მესმის, რომ ძნელია დიდ პოლიტიკაზე ფიქრი, როდესაც ელემენტარული საყოფაცხოვრებო პრობლემებიც არ გაქვს მოგვარებული. დაპირებული ზეციური მანანაც არ ჩანს. მაგრამ შეუძლებელია თვალზე მომდგარი ცრემლის გარეშე უყურო იმ კადრებს, სადაც ალუმინის

იმპერიასთან, რომელიც 21 - საუკუნეშიც გრძელდება.

ყველას გვახსოვს მე-16 საუკუნეში ორი ქართველი მეფე - ალექსანდრე კახთ ბატონი და სვიმონი, მეფე ქართლისა. ერთმა თავისი წილი საქართველო დროებით ააყვავა, თუმცა დანარჩენი საქართველო არად უღირდა. მეორე მხრივ, მეფე სვიმონი, რომელმაც უმძიმეს ჟამს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქართლს ხმალი შემოარტყა.

ალექსანდრე თავის ვირ-ემმაკობაში ისე გაიბლანდა, რომ თავიც დაიღუპა და ქვეყანასაც ავნო. სვიმონმა კი ქვეყანა გადაარჩინა და თავისი ზეციური ასეულით მარადისობაში შეაბიჯა.

19 თებერვალი. გამთენიისას, კიევში, მეიდანზე რამდენიმე გადაღლილი და დაჭრილ-ნაგვემი დამცველის გარდა, ფაქტობრივად, აღარავინ რჩებოდა. მორჩა, ყველაფერი დამთავრდა! ვილაცამ ამბავი მოიტანა - ტიტუშკები მოდიანო. „ბერკუტიც“ სადაცაა განაახლებს შეტევას. ამ დროს, ერთ-ერთი ქუჩის მხრიდან გაისმა ფარებისა და მწყობრი ნაბიჯის ერთმანეთში არეული ზრიალი. ეგ არის! მეიდანის დამცველები ერთმანეთს ემშვიდობებიან. აღმოჩნდა, რომ დამხმარე ძალაა, ლვოვის ასეული. მათ სწრაფად დაიკავეს პოზიციები და დაღლილ-დაქანცულ მეზრძოლებს დასვენების საშუალება მისცეს. თუმცა, ინათა თუ არა, სნაიპერებმა



ფარებით შეიარაღებულებს, შეკრული, მწყობრი ნაბიჯით აშკარა სიკვდილზე მიმავალ ჩვენ ძმებ უკრაინელებს (მათ შორის ქართველებსაც) ქვეყნის სამსხვერპლოზე მიაქვთ საკუთარი სიცოცხლე.

ჩვენ, ქართველებს, გმირობის და თავდადების ურიცხვი მაგალითი გვაქვს, როგორც ჩვენს ეპოქაში, ისე წარსულშიც - 9 აპრილი, 90-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი რუსეთის





მეიდანის ფაქტობრივად უიარალო დამცველებს ცეცხლის წვიმა გადმონათხიეს. სულ რამდენიმე საათში თითქმის მთელი ასეული განადგურდა. მაგრამ პირდაპირ ეთერში ყველამ ვნახეთ, რომ ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან! რომ არა ეს წარმოუდგენელი გმირობა, თავისუფალი და მებრძოლი უკრაინა იმ დღეს დამთავრდებოდა. ამ ასეულს მადლიერმა უკრაინელებმა ზეციური ასეული უწოდეს ...

ევრომაიდნის ტრაგიკული მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ კიევში „ზეციური ასეულის“ გმირები გაიხსენეს. დალუპულთა პატივსაცემად, მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა. ამ დროს საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც მემორიალი ყვავილებით შეამკო.

დამოუკიდებლობის მოედანზე სიტყვით გამოსვლისას უკრაინის პრეზიდენტმა მოქალაქეებს ერთიანობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მეზობელი სახელმწიფოს მცდელობის მიუხედავად, ქვეყანამ ბრძოლა ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

კიევის ცენტრში გამართულ ღონისძიებას, "მაიდანზე" დალუპული ქართველების ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მეიდანზე გარდაცვლილ სამ უცხოელს ორდენის ნაცვლად გმირის ნოდება მიანიჭა – ბელარუსის



ზურაბ ხურციას და



მოქალაქე მიხეილ ჟიზნევსკი და საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ხურცია და დავით ყიფიანი, რომლებიც ღირსების რევოლუციის დროს დაიღუპნენ.

ზურაბ ხურციას შესახებ მისი თანამოძმე იხსენებს: მე და ზურაბი არ ვიყავით ნაცნობები, დავიბადეთ სხვადასხვა ქვეყნებში, ვლაპარაკობდით სხვადასხვა ენაზე, მაგრამ მაიდანის ბარიკადებზე ჩვენ გავხდით ძმები – სულით, ფიქრებით და

მისწრაფებებით, ოცნებებით, იდეებით, ღირსებით და თავისუფლებით ძმები.

კიევის ცენტრში გარდაცვლილი 1960 წელს დაბადებული ზურა ხურცია უკრაინაში ბოლო ორი წელი ცხოვრობდა, ის მცირე ბიზნესით იყო დაკავებული. ხურცია გაგრიდან დევნილია და მისი ოჯახის წევრები სენაკში ცხოვრობენ. ნატესავების განცხადებით მას ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნებოდა, კერძოდ დიაბეტი ჰქონდა. ხურცია მეტროს შესასვლელთან გარდაცვლილი იპოვეს.

ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ხურცია აქციაზე ყოფნისას გულის შეტევით გარდაიცვალა.

„ზეციური ასეულის“ მემორებს უკრაინაში მემორიალი გაუხსნეს. უკრაინის პრეზიდენტმა ქართველი მებრძოლების ოჯახის წევრებს ჯილდოები გადასცა. მათი თქმით, ხურცია და ყიფიანი უკრაინისა და საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.



# სპორტული ხელნახების კვახსლებეკვა



სალომე ფაჟავა



ვიქტორია შელია

ცოტა ხნის წინ რუსეთის დედაქალაქში მსოფლიოს უძლიერესმა მხატვრულად ტანმოვარჯიშებმა მოიყარეს თავი.

გრან პრის გათამაშებაში ერთმანეთს პირველობას 35 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ.

ტიტულოვან სპორტსმენებს ღირსეული მეტოქეობა გაუწია **სალომე ფაჟავამ** (მწვრთნელები - **ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე**), რომლისთვისაც ტურნირი წლეულს პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო.

მრავალჭიდიში მან **67,349** ქულით მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. რომ არა ბურთით ვარჯიშში დაშვებული შეცდომა, 3-4 ადგილით წაინეცდა წინ.

პირველ-მეორე ადგილებზე რუსი მსოფლიოს ჩემპიონები - **მარგარიტა მამუნი** (73.049) და **იანა კუდრიავცევა** (72.432) გავიდნენ. 72.098 ქულით მესამე ადგილი **მელიტინა სტანიუტას** (ბელორუსი) ერგო.

ქართველმა ტანმოვარჯიშემ გურზებით ვარჯიშში იყოჩაღა - 17.500 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ჩვენებურს **სტანიუტამ** (18.166) და კუდრიავცევამ (17.866) გაუსწრეს. ფაჟავამ კარგად იასპარეზა რგოლითაც - 17.516 ქულით მეოთხე იყო და ბრინჯაომდე მცირედი დააკლდა.

აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **მამუნი** (18.900), 2. **სტანიუტა** (18.233), 3. **ნეტა რივკინი** (ისრაელი, 17.750).

მოსკოვში, გრან პრის პარალელურად, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირიც გაიმართა. ახალგაზრდებში **ვიქტორია შელიამ** მრავალჭიდიში მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო უფროსებში **ნათელა ბოლათაევა** მეთერთმეტე იყო.



სრულიად საქართველოს მეცნობს

## გაგზაოს მილოცვა ქალბატონებს



ძვირფასო მანდილოსნებო, მაქვს პატივი მოგილოცოთ ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი 3 მარტი - დედის დღე და 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე. ეს ორი დღესასწაული ერთმანეთისგან განუყოფელია, რამეთუ ქალისთვის უმაღლესი ბედნიერება სწორედ რომ დედობაა. თუ კი გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მასში ქალს და განსაკუთრებით ქართველ ქალს მეტად გამორჩეული ადგილი უჭირავს. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, სწორედ ქალმა, წმინდა ნინომ შეძლო ჭეშმარიტების ქადაგება და ქვეყნის წარმართობიდან მოქცევა. საქართველოს

პოლიტიკური აღზევების უამს უმაღლესი ხელისუფალი სწორედ ქალი იყო, თამარ მეფის სახით. გვიან შუა საუკუნეებში, კი როდესაც ქვეყანა დაიშალა და სულიერების კრიზისი შეიქმნა, მაშინაც ჩვენი სულიერებისა და თვითმყოფადობის გადარჩენა სწორედ ქალმა იკისრა ქეთევან დედოფლის სახით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს, თუ რაოდენ ძვირფასია ქართველი ადამიანისათვის ქალი, როგორც დედა, და, ასული, მეუღლე. თანამედროვე გოლბალიზაციის პირობებში ქალის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, კერძოდ, ქალის პოლიტიკური როლი იკვეთება, როგორც მშვიდობის მოყვარულის, უსაფრთხო გარემოს დამცველის სახით.

მინდა მოგილოცოთ ქალბატონებო ეს ღირსშესანიშნავი დღესასწაულები და გისურვოთ ქალური ბედნიერება, კარიერული წარმატება, ჯანმრთელობა და უღლვეი სიხარული.

**ედიპარ თოლორაია**  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა 3 და 8 მარტს დედას და ქალბატონებს ამ უმგვიანიერეს დღესასწაულს კულტურულ ფონისძირებით მიულოცავს და გამგებელი ქალბატონებს პირადად გადასცემს თაიგულს.**



1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრება წარმოდგენილი იყო 130 დეპუტატის შემადგენლობით, აქედან 4 ქალი იყო.

მათ, მოგვიანებით მესუთქალი დაემატათ. ყველა მათგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება პირველი ქალი პარლამენტარების მონაცემების გაცნობა, რომელიც მათ უპირავე-შარვაშიცა მომანოდა.

**ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული ნაკაშიძე-პოლქვაძე** (1885 - 1937) 1904 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, 1917 წლიდან "გურიის ქალთა საზოგადოების" თავმჯდომარე იყო. 1921 წლიდან ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაება, რის გამოც 1923 წელს დააპატიმრეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ანტისაბჭოთა მოღვაწეობა განაგრძო და ხელახლა დააპატიმრეს. 1937 წელს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით კრასნოიარსკში დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

**ანა (ოლა) სოლოლაშვილი** (1882 - 1937) 1903 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიის წევრი იყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში ჩაება. 1925 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. 1937 წელს შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ დააპატიმრა. ანტისაბჭოთა და ანტისაკომუნურ პროპაგანდის, შოვინისტური განწყობების, ასევე მენშევიკთა ლიდერ რამიშვილთან კავშირის ბრალდებით, ოლა სოლოლაშვილს დახვრეტა მიუსაჯეს.

**ელეონორა (ლოლა) მიხეილის ასული ტარ-ფარსეგოვა-მანვილაძისა** 1875 წელს

დაიბადა. 1902 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, ორგანიზაციამ - სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფმა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ელეონორაც იყო, რეალურად ხელში აიღო ქალაქ სოხუმის მმართველობა და მეფის ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა ჩაანაცვლა. ამის გამო, 1908 წელს პირველად დააპატიმრეს. 1921 წლიდან ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში ჩაება. 1925 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას შემადგენლობაში აირჩიეს. საგანგებო კომისიამ 1926 წელს დააპატიმრა და ამიერკავკასიის ფარგლებიდან გაასახლა. 30-იან წლებში, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, კერძო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. გარდაცვალების თარიღი უცნობია.

**ქრისტინე (ჩიტო) გიორგის ასული შარაშიძე** (1887 - 1973) 1905 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. 1905-1906 წლებში ტფილისის რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა და საგაზეთო მასალებს ამზადებდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რამდენჯერმე დააპატიმრეს. მისი ოჯახი რეპრესიებში მოყვა. სხვადასხვა დროს, მასწავლებელთა სახლის



ქართული ენის კაბინეტის გამგე და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის თანამშრომელი იყო. 1941-1964 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა. მან ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი შრომები მოამზადა. ასევე, ხევისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიის გამოკვლევების ავტორი იყო. IX-XIX საუკუნეების 1500-ზე მეტი ხელნაწერი დაამუშავა და შეისწავლა.



**მინადორა ევრემის ასული ორჯონიკიძე-ტოროშელიძე** 1973 წლის 14 მარტს, სოფელ ღორეშაში აზნაურის ოჯახში დაიბადა. ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია დაამთავრა. ამ დროიდან მარქსისტული წრეების მუშაობაში ერთვება. 1901 წელს ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ქალაქის სოციალისტურ წრეებში და "ისკრის" დამხმარე ჯგუფში აქტიურად მუშაობდა. ჟენევაში მალაქია ტოროშელიძესთან იქორწინა. 1905 წელს თბილისში დაბრუნებისთანავე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. მინადორა წითელ ჯვარში და "არა"-ში (ამერიკული დახმარების ადმინისტრაცია) მუშაობდა. პარალელურად ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატების და



ფედერალისტების ოჯახებს ეხმარებოდა. 1924 წლის დასაწყისში იძულებით მოსკოვში გაასახლეს. მას შემდეგ, რაც მენშევიკურ პარტიაში მუშაობაზე უარი თქვა, თბილისში დაბრუნდა. 1936 წელს მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე დააპატიმრეს. მან ბრალდებები უარყო და თავი დამნაშავედ არ ცნო. 5 წლით ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც ქალაქ ჩიმკენტის პოლიკლინიკაში ექიმად მუშაობდა. 1937 წლის 5 ივნისს დააპატიმრეს და 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში ყოფნა მიუსაჯეს. მისი სასჯელის ვადა 1945 წელს დამთავრდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. თბილისში 1950 წელს ჩამოვიდა. რებილიტირებულია 1956 წელს. მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე 1967 წლის 19 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ბიოგრაფიული მონაცემების გარდა, მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის შესწავლა და გაანალიზება. დეპუტატთა სია იმდენად მრავალფეროვანია, რომ ბევრ საინტერესო ასპექტს მოიცავს არამარტო ქალების, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ეთნიკურობის, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციის მხრივაც.

**ნანული ზოტიკიშვილი**



და ჰა... დედამინამ ზამთრის ძილს თავი დაა-  
ლნია, თვალეზი მოიფშენიჭა, ღმერთს მადლობა  
შესწირა და სახეზე ღმილ-გადაფენილმა ღრმად  
ამოისუნთქა.

— კიდევ ერთი გაზაფხული!... საკინძე  
შეიხსნა, გულ-მკერდი ძალუმად მოკაშკაშე  
მზის სხივებს გადაუშალა – გამათბეთ,  
ჩემს წიაღში ჯადოსნური გაზაფხულის  
მახარობელ პანანინა ყვავილებს ბოლქვებზე  
მოეფერეთ, ზედაპირი შეუმსუბუქეთ და  
ამოსვლაში დაეხმარეთო. მზემაც ისმინა  
მინის ვედრება და სულ მალე ზღაპრული,  
შეუდარებელი სილამაზით აღვსილი ხალიჩა  
გადაგვიშალა თვალწინ: — თავმომწონე  
ნაზი იეზი, ფურისულები, ყოჩივარდები,  
ენძელები... ერთმანეთის დობილებმა პირი  
შეჰკრეს და მშვენიერების საგალობელი  
ფერწერული ტილოს სახით მოგვიქარგეს.

ეს მარტის თვეა. რიცხვი 15. გამთენიისას  
უამრავ სხვა უმანკოებას შორის ერთი  
კვერცხუჯრედიც გატყდა, ჩვილმა დედის  
მუცელსთავიდააღწია დასამყაროს დაბადება  
გამაყრუებელი ტირილით ამცნო. გოგოა, გოგო,  
იძახის ბებია ქალი. რამხელაა, შესძახა მედდამ.  
სიგრძე 52, წონა 4,50, ჯანმრთელია რაც მთავარია...  
შელაპარაკობენ ერთმანეთს მედიკოსები და  
ბავშვს ჭიპლარს უმუშავენ. უხარია დედას, დღეს  
ხომ მისი დედობის ნათლობაა. უხარია ოჯახს,  
რომელსაც პირველი შვილი შეეძინა. სახელი მყისვე  
მოიფიქრეს — ნინო, ბებიის საპატივცემულოდ.

სითბოსა და ალერსში განვლო ბავშვობა, ყველას  
უყვარდა, ყველა მას ეფერებოდა, პატარა ნინოც  
უფროსების გარემოცვაში მათებურად ცდილობდა  
ეაზროვნა. ბავშვობიდანვე უფროსების გვერდით



ყოფნა სიამოვნებდა, ნინა ბებო ხუმრობით ადრე  
და მალე დაბერებულსაც კი ეძახდა, სულ დედას  
და დეიდას დასდევდა, სკოლაში მიჰყავდათ  
(მასწავლებლები არიან), სწორედ აქ ჩაისახა მისი  
მომავალი გზის კვალი, კვალი კალმისა და სიტყვის  
სიყვარულისა.

ყოველთვის გამორჩეული იყო. უყვარდა სწავლა,  
პასუხისმგებლობა მისთვის უპირველესი გალდათ.



გოჩა გუტაშვილი

50 წლის გოჩა გუტაშვილი

ჰუმანიტარული გონებით გამოირჩეოდა. ტექნიკურ საგნებს მხოლოდ ზრდილობისა და სინდისის გამო სწავლობდა, რასაც დიდ ძალისხმევას ანდომებდა. ამიტომ იყო, რომ მასწავლებლები შრომას უფასებდნენ კიდევ. ფიზიკის პედაგოგმა, ბატონმა ფილიმონმა ერთხელ შუბლზე აკოცა და უთხრა: შენს ქართულ შუბლს ვენაცვალეო.

ისიც მომხდარა, ფიზიკის კაბინეტში შემავალ გოგონას, საკლასო ოთახის კარზე მიწერილი ორ ტაეპიანი ლექსი დახვედრია, „ნინოო, ალვისტანისა, ხუთიანები გვშენისა“, შენი მასწავლებელი.

თითით საჩვენებელი იყო. ყველა აქებდა, აქტიურად ცხოვრობდა, პედაგოგები ათამამებდნენ, დედას მშობელთა კრებაზე მისვლა უხაროდა. იცოდა, რომ შვილის სიკეთე უნდა მოესმინა.

ასე წარმატებულად დაამთავრა საშუალო სკოლა და საოჯახო სათათბირომ მისი მომავალი პროფესიაც გადაწყვიტა, ნინო ფილოლოგი უნდა გამხდარიყო. მამამ სთქვა, თავს მოვიკლავ და ნინოს არაფერს მოვაკლებ, ყველანაირად ხელს შევუწყობ, რომ ეს მონდომება და შრომა წყალში არ ჩაეყაროსო.

1988. აგვისტო. მისაღები გამოცდები. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში სხვა აბიტურიენტების მსგავსად ღელავს ნინოც.

ბავშვები სიებს ელოდებიან. კითხულობენ და ზოგი სიხარულისგან ჰაერში ფრენს, ზოგი კი მცდელობის მიუხედავად თავის სახელს და გვარს სიაში ვერ პოულობს. გაუჭირდა ნინოს, ქულა არ ეყო, რუსული კარნახი სათანადოდ ვერ ჩააბარა. აღელვებულმა მშობლებმა ატირებულ გოგონას ხელი სტაცეს და იმ ღამითვე სოხუმში გაემგზავრნენ. მეორე დღეს სოხუმის უნივერსიტეტში საბუთების მიღება მთავრდებოდა, ორ დღეში კი გამოცდები უნდა დაწყებულიყო. ნინო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აქედან დაიწყო მისი შემოქმედებითი ცხოვრება. ოჯახთან და ორ პატარა შვილთან ერთად სწავლობდა, მუშაობდა და მუდამ სასიამოვნო ავტორიტეტით სარგებლობდა. ნინომ 18 წელი პედაგოგად იმუშავა, ახლა კი ექვსი წელია უდიდეს საქმეს აკეთებს, მეუღლის დაჟინებული თხოვნით ჟურნალი „რაჭველები“ დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა ეროვნულ საქმეს. სანაქებო კალამი აქვს. მისი შემოქმედება პუბლიცისტური უფროა, ვიდრე ჟურნალისტური. ახლა უკვე 4 წელია მის შემოქმედებას ჟურნალი „სამეგრელო“ დაემატა და დღეს ნინო გამომცემლობის დირექტორია.

ნინოს ბედნიერი ოჯახი აქვს. ჰყავს მეუღლე გოჩა გუტაშვილი, რომელსაც 8 მარტს 50 წელი შეუსრულდა, გოჩა ეროვნული მრწამსისა და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანია. უყვარს პოეზია და იცის ქართული სიტყვის მადლი. არის გამორჩეული თამადა. იგი ჩვენი დიდი ოჯახის პირველი სიძეა, გვიყვარს და პატივს ვცემთ. გიგა და დათო მისი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავები არიან, ამბობს ჩემი ცხოვრება ჩემ შვილებს ეკუთვნისო.

ნინო სანიმუშო დედა, სამაგალითო დიასახლისი და საიმედო მეგობარია.

ქალი, რომელიც ღმერთმა გაზაფხულის გამოფხიზლებისას აჩუქა უფალმა სამყაროს.

ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს გაზრდილ გოგონას, ახლა კი დიდ ქალს, ბედნიერ დედას და ჩემს საყვარელ სიძეს, გოჩას.

გილოცავთ დაბადების დღეებს, მარტის თვე მართლაც თქვენი ოჯახის დღესასწაულია. გისურვებთ ჯანმრთელობას, რომ ღირსეულად განაგრძოთ ის უდიდესი საქმე, რასაც დღემდე აკეთებთ.

გისურვებთ ბედნიერებას!

თქვენი ეთერი დეიდა.

**თეიმურაზ ჩიკვილაძე**  
**ონი. შაუხნის საჯარო სკოლის**  
**დირექტორი**

# სამარხვო კერძები



## კარტოფილის ბურთულაბი მაიონეზით

### ინგრედიენტები:

- 2 კგ კარტოფილი
- 50 გრ მარგარინი
- მარილი, პილპილი-გემოვნებით
- საფანელი
- 3 კბილი ნიორი
- 1 ქილა სამარხვო მაიონეზი



### მომზადების წესი

კარტოფილის მოვხარშოთ, შემდეგ გავაკეთოთ პიურე, შევაზავოთ მარგარინით პილპილით და მარილით. მიღებული მასისგან გავაკეთოთ ბურთულეები, ამოვავლოთ საფანელში და შევწვათ ზეთში. მაიონეზს დავუმატოთ გაჭყლეტილი ნიორი, მარილი და შემწვარი ბურთულეები მოვათავსოთ შიგნით.

## თეთრი ლობიო პამიდვრით

### ინგრედიენტები:

- 400 გრ მოხარშული თეთრი ლობიო
- 6 ც პამიდორი
- 1 თავი ხახვი
- 1 კბილი ნიორი
- 1 ჩ.კ ქონდარი
- 2 ს.კ ზეთი
- 2 ჩ.კ შაქარი
- 200 მლ ბოსტნეულის ბულიონი



### მომზადების წესი:

მოვხარშოთ თეთრი ლობიო. გავფცქვნათ პამიდორი, გავაცალოთ თესლები და დავჭრათ წვრილად. ზეთში მოვხრაკოთ წვრილად დაჭრილი პატარა თავი ხახვი, დაწყლენილი ნიორი და წვრილად დაჭრილი ქონდარი.

როცა ყველაფერი კარგად ჩაითუშება, დავასხათ პამიდორი, შევურიოთ შაქარი და გადაწყლელი ლობიო. დავასხათ ბოსტნეულის ბულიონი. ავადულოთ და გვედგას ნელ ცეცხლზე 30-35 წუთის განამავლობაში.



## სოკოს ოსტრი

### ინგრედიენტები:

- 2 ქილა დაკონსერვებული სოკო
- მარილი, ძირა, ქონდარი, უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, წინაკა-გემოვნებით
- თითო-თითო კონა ქინძი, პეტრუშკა, კამა
- 3 თავი ხახვი
- 4-5 კბილი ნიორი
- 2 ს.კ ტომატი




### მომზადების წესი:

მოვხარშოთ სოკო კარგად, მოვშუშოთ ხახვთან ერთად, დავამატოთ ტომატი, ცოტა ვადულოთ, დავამატოთ ცოტა წყალი. დავამატოთ დაჭრილი მწვანელები, სუნელები, მარილი, წინაკა, კარგად ამოვურიოთ და ვადულოთ კიდევ 5 წუთით.

## სალათა ვინეგრეტი

### ინგრედიენტები:

- 2 ც ჭარხალი
- 3-5 ც კარტოფილი
- 3 ც კიტირის მწნილი
- 100 გრ სოკო
- 100 გრ ლობიო
- 100 გრ კომბოსტო
- ბარდა
- 4 ს.კ ზეთი
- მარილი, ძმარი-გემოვნებით



### მომზადების წესი:

ლობიო, სოკო, კარტოფილი, ჭარხალი მოვხარშოთ ცალ ცალკე და გავაციოთ. ჭარხალი და კარტოფილი გავხეხოთ სახეხზე და დავამატოთ წვრილად დაჭრილი მოხარშული სოკო. კომბოსტო დავკეპოთ წვრილად, დავასხათ მდულარე წყალი და გავაჩეროთ 15-20 წუთი. ყველაფერი შევურიოთ ერთმანეთს, დავამატოთ მოხარშული ლობიო. მოვაყაროთ მარილი, მოვასხათ ძმარი, ზეთი და კარგად ამოვურიოთ.

## ჩაპურაკი სოკოთი

### ინგრედიენტები:

- 500 გრ სოკო
- 2 თავი ხახვი
- 3-4 ღერი ქინძი
- ნახევარი ლიტრი წყალი
- 700 გრ ფქვილი
- 7 ს.კ ზეთი
- მარილი, პილპილი-გემოვნებით



### მომზადების წესი:

სოკო დავჭრათ საშუალო ზომაზე და მოვხრაკოთ ზეთში ხახვთან ერთად. მოვაყაროთ მწვანელები. მარილი, პილპილი და გავაციოთ. მოვზილოთ საფუერიათი ცომი, დავჭრათ პატარა ნაჭრებად, თითოეული გავაბრტყელოთ თხლად, ჩავდოთ სოკოს გულსართი, მოვუკრათ გვერდები და შევწვათ ზეთში.

# „გაოსრუბელი გავდრის“ კიდევ ერთი სისხლის კალო

ყველაფერი 5 მარტს დაიწყო, როცა სტალინის გარდაცვალების მორიგი წლისთავის აღსანიშნად ხალხმა სანაპიროზე, მშრალ ხიდთან მდებარე პარკში დაიწყო შეკრება, სადაც „ხალხთა ბელადის“ ძეგლი იდგა. ამაში უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი ყოფილა: სტალინის ძეგლთან, მისი გარდაცვალების დღის აღსანიშნავად, როგორც წესი, მანამდე იკრიბებოდნენ ქართველები.

მაგრამ 1956 წელს ამ შეკრებას ერთი მძიმე ფონი ახლდა: ნიკიტა ხრუშჩოვის ანგარიში სკკპ-ს მე-20 ყრილობაზე, რომელიც დახურულ ვითარებაში ჩატარდა და სადაც სტალინის კულტი დაგმეს. გავრცელდა ხმები, რომ სტალინის მიერ რეპრესიების ჩატარების და მისი სისასტიკის ასახსნელად „ბელადის“ ქართველობა იქნა მოშველიებული.



თავდაპირველად, მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა სწორედ ამ ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების დეტალების გაცნობა იყო. სხვათა შორის, მიტინგები მხოლოდ თბილისში არ ჩატარებულა - ანალოგიური გამოსვლები იყო გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში.

თბილისში გამართულ მიტინგებზე, სულისკვეთება თანდათან შეიცვალა. სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა. მიტინგზე 818 შეკითხვა, წინადადება, რჩევა, მოთხოვნა იქნა აღრიცხული და ფიქსირებული. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ეხებოდა სოციალურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეროვნულ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს. ერთ-ერთ შეკითხვაში ღიად არის მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ასე ჟღერდა: „შეიძლება

თუ არა კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველო გამოეყოს სსრ კავშირს?“ იყო მოწოდებებიც თავისუფლების ბრძოლით მოპოვების შესახებ.

აი, როგორ იხსენებენ თვითმხილველები იმას, რაც თბილისში 5-დან 9 მარტამდე ხდებოდა: ბესარიონ გუგუშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი: „ყოველდღიურად ათობით ათასი და ბოლოს ალბათ ასი ათასამდე ადამიანი იყო მუდმივად. საპროტესტო მიტინგებზე დიდად აქტიურობდნენ გოგონები, ქალები. ჩვენს იქ ყოფნისას განსაკუთრები ერთი გოგონა აქტიურობდა, საოცარი ძლიერი და წკრიალა ხმით კითხულობდა ლექსებს. უამრავი ლექსი იცოდა.

დაიწყო იმითი, რომ კითხულობდნენ ლექსებს სტალინზე და მღეროდნენ სიმღერას სტალინის ლექსზე „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, სტალინის საყვარელ სიმღერას „შავო მერცხალო“ მღეროდა მთელი მიტინგი.

მერე, თანდათანობით და საკმაოდ სწრაფად საპროტესტო მიტინგების საერთო ნამყვანი თემა გახდა საქართველო და საქართველოს დამოუკიდებლობა სულ უფრო ხშირად გაისმოდა „ქართველო ხელი ხმაღს იკარ“ და სხვა ამ სულის სიმღერები! მიტინგებზე სიტყვით გამომსვლელები მსჯელობდნენ იმაზე, ვინ დაუდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას მხარში. ზოგი ჩინეთს იძახდა (ჩინელი კომუნისტები ამ დროს უკვე მაგრად იყვნენ წაკიდებულები რუსებთან) და ზოგი კი ამერიკას (შედარებით ნაკლები).

8 მარტს აჯანყებული ქალაქის დასათვალიერებლად უკვე მამამ გავიყვანა მე და ჩემი ძმა ავტომანქანით. ვნახეთ საქარხნო რაიონში და საავიაციო ქარხნის დასახლებებშიც თურმე უზარმაზარი მიტინგები ყოფილა. მიტინგებზე სულ მუშები იყვნენ. ეს დღე აჯანყების კულმინაცია იყო.

მომიტინგეების ერთადერთი ლოზუნგი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა ჩვენი იქ ყოფნისას ერთი მოხუცი მუშა გამოვიდა და ათჯერ გაიმეორა „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“-ო და მთელი მიტინგი მასთან ერთად იმეორებდა, როგორც ლოცვას.

მერე გორში წავედით, ცენტრალურ მოედნამდე მანქანით ვერ მივედით, ხალხს ჰქონდა გადაკეტილი. მანქანა მოშორებით გავაჩერეთ და მთელი საათი ვუსმევედით მიტინგზე გამომსვლელებს. აქაც უმეტესად მღეროდნენ და ლექსებს კითხულობდნენ აქაც პრაქტიკულად ყველა გამომსვლელი უკვე საქართველოს

დამოუკიდებლობის საკითხზე ლაპარაკობდა!

8 მარტს გვიან ღამე მამაჩემმა გაიგო, რომ თურმე მონყობილა საქართველოს ცკ ბიუროს დახურული, ვინრო კრება, რომელზეც მუჟავანაძემ მოსთხოვა კრემლს ჯარით დახმარება. სასტიკად შეშინებული იყო. იმავე ღამით ქალაქის გარეუბნებში გამოჩნდნენ ტანკები, ქალაქში შემოსასვლელი გზები გადაკეტეს

9 მარტს დილიდან ჩვენ ბავშვები უკვე სახლში ჩაგვკეტეს და იქვე სახლის წინ ქუჩაშიც კი არ გაგვიშვეს.

1956 წლის 7-8 მარტს კომუნისტებს თბილისზე და მთელს საქართველოზე კონტროლი სრულიად დაკარგული ჰქონდათ, მილიციისა და კგბ-ს ჭაჭანება არ იყო ქუჩებში. დღედაღამე, შეუწყვეტილად, ყველგან ძალიან ხალხმრავალი მიტინგები იყო, ლექსებს კითხულობდნენ და მღეროდნენ, არც ერთი დანესებულება, სანარმო, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სკოლა არ მუშაობდა, მთელი ქართველი ახალგაზრდობა ქუჩაში იყო. წესრიგს ხალხის მიერ გამოყოფილი რაზმელები იცავდნენ (ლურჯი ზორტები ჰქონდათ მკლავზე). ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან არავითარი არეულობა არ იყო!

ნამდვილი სასწაული იყო.

ამ ჩვენმა კომუნიზმით დაბეჩავებულმა და თითქოს მიძინებულმა ხალხმა რამდენიმე დღეში გაიღვიძა და როგორ გაიღვიძა, აღსდგა და როგორ აღსდგა, როგორც ლაზარე!!!

9 მარტს დილით ხალხმა, ყველა მიტინგზე გადანწყობა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და დეპუტა გაეგზავნათ გაერთიანებულ ერებში და ამერიკაში. სწორედ მაგის მერე იყო, რომ ჯარებმა სროლა დაიწყეს.

პირველად ტყვიამფრქვევებით ესროლეს იმ დემონსტრაციას, რომელიც სანაპიროდან კავშირგაბმულობის სახლს უახლოვდებოდა დეპუტების გასაგზავნად. თითქმის მაშინვე სანაპიროებიდან ტანკები და ჯავშნიანი მანქანები შემოვიდნენ და მათ ჯავშანზე ამხედრებულმა სალდათებმა სროლა დაუწყეს მომიტინგეებს მშრალ ხიდთან და ყველგან, სადაც კი ხალხი იყო შეკრებილი.

დახვრეტების შემდეგ, თითქმის ყველა დაჭრილი ვინც ვერ მოძრაობდა მოკლეს ხიშტებით, გოგოებიც ბევრი მტკვარში გადაყარეს (სანაპიროზე მოკლულები). ჩემს პატარა ქუჩაზე 2 ბიჭი იყო მოკლული კავშირგაბმულობის სახლის წინ, ერთი მათგანი, ლეო ხანგულაძე, გაქართველებული სომეხი! ჩემი კლასელის უფროსი ძმა.

ოფიციალურად 300 მოკლული გამოაცხადეს და არც ერთი მოკლულის დატირების საშუალება არ მისცეს. თითონ დამარხეს დაბეჭდილი ცინკის კუბოებით მხოლოდ ოჯახის თანდასწრებით (მორგიდან)!

**საერთოდ, ისე დაშინებული იყო ხელისუფლება, რომ მერე არც რამე დიდი რეპრესიები და არც დიდი პროპაგანდისტული აჟიოტაჟი არ ყოფილა. მიაჩუმათეს, ვითომც არ მომხდარა“.**

1956 წლის 9 მარტს დალუპულთა და დაჭრილთა ზუსტი რაოდენობა ჯერაც არ არის ცნობილი. შსს-ს საარქივო სამმართველოში დაცული მასალების საფუძველზე ამ სტრუქტურის გამოცემამ „საარქივო მოამბემ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მაშინდელი ოფიციალური მონაცემებით, ჯამში, ოფიციალური ინფორმაციით, სროლის შედეგად, 27 ადამიანი დაიღუპა და 54 დაიჭრა, თუმცა, „საარქივო მოამბეც“ და თვითმხილველებიც აცხადებენ, რომ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო და იმ დღეს 70-დან 100 კაცამდე დაიღუპა.

საზოგადოება „ხსოვნის“ თავმჯდომარე თამაზ ბიბილური იხსენებს, მომიტინგეებმა ტელეგრაფის შენობაში შელწევა ვერ შეძლეს:

„მერვე პოლკის ჯარისკაცებმა ალყა შემოგვარტყეს და დაიწყეს სროლა ავტომატიდან. მოვასწარი გაქცევა. აქვე ვცხოვრობდი. ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, მტკვარში გადახტომით უშველა თავს... დილით ყველამ ვნახეთ ეს ტრაგედია.“

როგორც უკვე ითქვა, 1956 წლის მარტის მოვლენების მონაწილენი - და, მათ შორის, ჯემალ შანიძეც, ვისი ძმაც მაშინ რუს ჯარისკაცებს ემსხვერპლა - დახოცილთა სავარაუდო რაოდენობად ასზე მეტს ასახელებენ. ბატონ ჯემალის თქმით, უშიშროების კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი ძმისა და სხვა დახოცილთა დასაფლავებას შეუმჩნევლად ჩაეველო.

„თვითონ გამოასვენეს, თვითონ გათხარეს საფლავი... ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო ვაკის სასაფლაოზე. საყვლოანეული, გრძელაბადიანი „თანამშრომლები“ იდგნენ სასაფლაოზე ალაგ-ალაგ.“

70 წლის ჯემალ შანიძე ყოველი წლის 9 მარტს სანაპიროზე ჩადის და სანთელს ანთებს ქვის ლოდთან, რომელსაც ოქროსფერი ასოებით აწერია: **„აქ დაიდგმება 9 მარტს დალუპულთა უკვდავყოფის მემორიალი“.**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დიმიტრი შველიძის თქმით, სტალინის გარდაცვალების, ანუ 1953 წლის, შემდეგ თბილისელები მის ძეგლთან ყოველი წლის 5 მარტს მიდიოდნენ, თუმცა, ისტორიკოსის თქმით, გამორჩეული აღმოჩნდა 1956 წლის 5 მარტი, რომელსაც წინ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უძლოდა:

„25 თებერვლიდან მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობა, რომელზეც ნიკიტა ხრუშჩოვმა პიროვნების კულტი გააკრიტიკა და დაგმო სტალინი. ამასთან

ერთად ხაზი გაესვა სტალინის ქართველობას.“

დიმიტრი შველიძის თქმით, ყრილობის მსვლელობისას, ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე ითქვა, რომ სწორედ სტალინის ქართულმა წარმომავლობამ და აზიურმა ხასიათმა განაპირობა რეპრესიების მასშტაბი და სისასტიკე. ამგვარი ბრალდების პასუხად, საქართველოში დაიწყო მოძრაობა, რომელიც, ძირითადად, სტალინის სახელის დაცვისკენ და ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქციის მონაწილენი ამბობდნენ, რომ არ დაუშვებდნენ სტალინის კრიტიკას. გაისმა 9 მარტის უქმე დღედ გამოცხადების მოწოდებაც. მოგვიანებით, 9 მარტის ღამეს, როცა მომიტინგეთა რაოდენობამ პიკს მიაღწია, აქციის მონაწილენი ტელეგრაფისკენ დაიძრნენ, რათა მოსკოვისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის ემცნოთ თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ტრაგედიაც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

**„უშიშროების კომიტეტში არსებული მონაცემებით პირველი შეტევის დროს ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა 22 კაცი, შემდეგ მიემატა კიდევ 5. დაიჭრა რამდენიმე ათეული.**

9 და 10 მარტს საბჭოთა არმიის ჯარების ქვედანაყოფების მიერ, რომლებიც ახდენდნენ პატრულირებას ქალაქში წერიგის დასამყარებლად, დაკავებულ იქნა 300 კაცამდე. ხოლო შემდეგი 12 დღის განმავლობაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დასაკავებლად წარმოებდა გამოძიება, რის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიესცეს 39 კაცი:

1956 წლის სისხლიანი დღეების განმავლობაში

სულ დაპატიმრებულ იქნა 375 კაცი, მათ შორის: სკკპ წევრი – 34, ალკკ წევრი -165, უპარტიო – 142. დახოცილთა და დაზარალებულთა რიცხვი დღემდე უცნობია.“

მიტინგის მონაწილეთა სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ ძალიან ბევრი სვამდა კითხვას, ვინ გასცა ბრძანება, რომ მომიტინგეებისთვის ცეცხლი გაესხნათ. ამ კითხვას სვამდნენ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგაც, თუმცა, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. რაც შეეხება 9 მარტს, რასაკვირველია, ბრძანებას სსრკ-ს გენმდივნის გვერდის ავლით ვერავინ გასცემდა, ბრძანების გამცემთა სამკუთხედი კი მაშინ ასე გამოიყურებოდა:

**ხრუშჩოვი (სსრკ გენ-მდივანი) - ყუკოვი (თავ-დაცვის მინისტრი) - ფედიუნიჩი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი).**

თანამედროვე ისტორიკოსთა შორის დღემდე სადავოდ რჩება 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მონაწილე პირთა როლისა და მათი ქმედების შეფასების საკითხი. გაურკვეველობას ქმნის შემდეგი გარემოებანი: ერთის მხრივ საქმე გვაქვს ეროვნული თვითგამორკვევისა და იდენტობის შეგრძნების აშკარა გამოვლინებასთან, მაგრამ ამავე დროს ის მიზეზი, რომელიც დემონსტრანტებმა საბრძოლო ლოზუნგად ააფრიალეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს სტალინის კულტია. სწორედ იმ სტალინისა, რომელიც რუსის ჯარით გარშემორტყმულ თბილისთან მდგომ ორჯონიკიძეს სწერდა: "ახლავე შეუტეე, დასტურია. გიბრძანებ, აიღე ქალაქი"...

ლამა ბერულავა



# როგორ მოვუაროთ

## ოთახის იას?

ქალბატონებო, ალბათ, ჩემსავით თქვენც ხშირად გსმენიათ სიტყვები, რომ სრულყოფილება არ არსებობს, ყველაფერს აქვს გარკვეული ნაკლი, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ღმერთმა ამქვეყნად შექმნა მართლაც რომ ბუნების სრულყოფილი ქმნილებები. მათ აქვთ უნარი იმისა, რომ დაგვაშვიდონ, გაგვახალისონ და დათესონ ჩვენში სიკეთის გრძნობა. ბუნების ამ სრულყოფილებას მცენარეები ჰქვია.

მცენარეები, რომლებიც ათასფრად გვიფერადებენ და გვილამაზებენ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენს ჟურნალს

ყვავილების სურნელება შევმატო და ყოველ ნომერში წარმოგიდგინო ცნობილი ბიოლოგისა და ბოტანიკოსის, ქალბატონ ირინა დანელიას ინტერვიუს სხვადასხვა სახეობის ყვავილის მოვლის და გამრავლების შესახებ.

ამჯერად ვაგაყენებ პატარა და საოცრად ლამაზ მცენარეს - „ოთახის იას“.

ოთახის ია, იგივე "სენპოლია", ათწლეულების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეკორატიული მცენარეა. მისი სახელწოდება "ია" სინამდვილეში არავითარ კავშირშია ჩვენთვის კარგად ნაცნობ, გაზაფხულის არაჩვეულებრივ

მაცნესთან, ტყის იასთან. ეს ორი სახეობა არც კი ენათესავება ერთმანეთს.

უბრალოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ყვავილის ფერით და ფორმით გვანან ერთმანეთს, ამ დეკორატიულ მცენარეებსაც "ია" უწოდეს. რაც შეეხება სახელს "სენპოლიას", იგი დაკავშირებულია ცნობილ ინგლისელ ბარონთან სენ პოლთან, რომელიც გახლდათ მოგზაური და ბოტანიკოსი.

სწორედ მან ტანზანიაში მოგზაურობისას აღმოაჩინა ერთი ძალიან პატარა მცენარე ლამაზი ყვავილებით. როდესაც ეს მცენარე ევროპაში გააგზავნა და აღწერეს ახალ სახეობად, აღმოჩენის პატივსაცემად "სენპოლია" უწოდეს. თუმცა, გარდა ამ სახელწოდებისა, იგი მსოფლიოში ასევე ცნობილია სახელწოდებით "უზამბარის ია". ეს სახელიც სწორედ იმ გავრცელების ადგილიდან მოდის, სადაც მოგზაურმა სენ პოლმა აღმოაჩინა.

მცენარე თავიდანვე ძალიან პოპულარული გახდა. ათწლეულების მანძილზე სელექციონერებმა შეძლეს და გამოიყვანეს მისი ძალიან ბევრი ჯიში. არსებობს რთულყვავილიანი და მარტივყვავილიანი ჯიში. ასევე გვხვდება ჭრელფოთლიანებიც.

**- ქალბატონო ირინა, როგორ პირობებს საჭიროებს "ოთახის ია"?**

- გამომდინარე იქიდან, რომ „ოთახის ია“ წარმოშობით ტროპიკებიდან არის, მას მთელი წლის განმავლობაში ერთნაირი პირობები და მოვლა სჭირდება. ყურადღება უნდა მიექცეს მის ადგილმდებარეობას, ქოთანს, ნიადაგს, კვებას, ჰიგიენას და ა.შ. მაგალითად:

ადგილმდებარეობა: ადგილი, სადაც იას მოათავსებთ, უნდა იყოს განათებული, მაგრამ არ უნდა ხვდებოდეს პირდაპირი მზის სხივები, რადგან ხშირად სწორედ ეს ხდება მისი დაზიანებისა და სხვადასხვა დაავადების გაჩენის მიზეზი.

**მორწყვა:** მორწყვისას იას ფოთოლზე არ უნდა მოხვდეს წყალი. მოგეხსენებათ, მას აქვს ძალიან ნაზი ფოთლები ბუსუსებიანი ზედაპირით. ამიტომ მასზე მოხვედრილი წყალი დიდხანს რჩება, რაც აზიანებს და ალბობს მცენარეს. ამიტომ უმჯობესია იები მოვრწყათ უშუალოდ მიწის ზედაპირზე, ან თუ ძალიან პატარაა, შეიძლება ქოთნის სადგამი თეფშიდან მოიწყას.

მორწყვის სიხშირე: ია განეკუთვნება იმ ოთახის მცენარეების რიცხვს, რომელთაც უყვართ ზომიერი მორწყვა. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ მათ, ვისაც აქვს ოთახის იები, რომ როდესაც ნიადაგის ზედაპირი შემრება და არა - გამოშრება, მხოლოდ ამის შემდეგ მორწყან. ანუ ზედა ფენა უნდა იყოს შემშრალი, მაგრამ შიგნით უნდა იყოს ოდნავი სინესტი.

არ ამყოფოთ იები დიდხანს სველ გარემოში.

განსაკუთრებით ეს ეხება ზამთრის პერიოდს. ამ პერიოდში ჩვენ, ფაქტობრივად, ვუნახებრებთ იებს მორწყვას. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბინაში სიგრილეა; მაგრამ თუ პირიქით, ჰაერის სიმშრალეა, მაშინ მორწყვის ინტენსივობა იგივე რჩება, რაც წელიწადის სხვა დროს.

**ჰიბინა:** თუ იას დაემტვერა ფოთლები, მისი გასუფთავება უმჯობესია თმის საშრობი ფენის დახმარებით, მაგრამ ძალიან დაბალი სიმძლავრით. ასევე შესაძლებელია ძალიან რბილი ფუნჯითაც მტვრის გადაბერტყვა. მისი გასუფთავება არ არის სასურველი ბამბით ან ღრუბლით, რადგან ასე შეიძლება მას დაუზიანოთ ნაზი ფოთლები.

ნიადაგი და მისი გამოცვლის სიხშირე: წყალში დაფესვიანებული ფოთოლი უმჯობესია პირველი ერთი წლის მანძილზე რაც შეიძლება მსუბუქ ნიადაგში ვამყოფოთ. იგი უნდა იყოს ნოყიერი მიწისა და ქვიშის ნარევი, რათა ფესვთა სისტემა თავისუფლად განვითარდეს. რაც შეეხება ნიადაგის გამოცვლას, ოთახის ია არ საჭიროებს ხშირ გადარგვას. თუ მას კარგად აქვს მოლონიერებული ძირი, მაშინ ორი-სამი წლის განმავლობაში თავისუფლად შეიძლება იგი ერთსა და იმავე ქოთანში ვამყოფოთ.

ქოთნის ზომა და ფორმა: ქოთნის ზომა და ფორმა ერთ-ერთ მნიშვნელოვანია მცენარისთვის. ოთახის იებისთვის ქოთნის ზომა უნდა შეირჩეს თვითონ იის ზომის მიხედვით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პატარა მცენარე ჩარგოთ დიდ ქოთანში.

რადგან თუ მიწა ბევრია და ჩვენ მას ზედმეტად მოვრწყავთ, მცირე ზომის მცენარე ვერ მოასწრებს ნიადაგიდან წყლის ამოღებას, რაც შემდეგ მის დალბობას გამოიწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ ოთახის იების ფესვთა სისტემა საკმაოდ ზედაპირულია, უმჯობესია იგი ჩავრგათ განიერ და დაბალ ქოთანში. ასეთ ვითარებაში მას საკმარისი ადგილი ექნება ახალი ნაყარისთვის.

**- როგორ მრავლდება ოთახის ია?**

- როგორც წესი, ოთახის იები მრავლდება ფოთლის დაფესვიანებით და ძირის გაყოფით. ასევე შესაძლებელია თესლით გამრავლება. ყველაზე მარტივი მაინც ფოთლის დაფესვიანებაა. უმჯობესია გამრავლდეს მეორე რიგის და არა პირველი რიგის ფოთლით, რომელიც უშუალოდ მიწას ეხება.

მეორე რიგში აარჩიეთ ის ფოთოლი, რომელსაც უფრო მოგრძო, დაახლოებით 2 სმ-ის ყუნწი ექნება, მოათავსეთ იგი წყალში მანამ, სანამ დაფესვიანდება და შემდეგ გადარგეთ ქოთანში.

---

---

# სასწაულის მოლოდინში

## ეკრესიები, საეკლესიო მოხსენებები, საეკლესიო მოხსენებები, საეკლესიო მოხსენებები

---

---

### რატომ სწავლავთ მონასტრებს ეკლესიებს აკვნებს

#### დავით კიკოლაშვილი

საქართველოში მრავლადაა სასწაულომოქმედი ეკლესია-მონასტრები. მათთან მორწმუნოანი სხვადასხვა მიზნით მიდიან: ზოგი ჯანმრთელობას შესთხოვს, ზოგი ამჟამინდურ ბედნიერებას, ზოგი კი მთავარმოთხრობის ყოლას. რა თქმა უნდა ყველა ეკლესია თავისთავად სასწაულომოქმედი, ყველგან მლოცველი დიდ წყალობას იღებს, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ეკლესიაზე, სადაც მორწმუნოანი უფალს შვილის ყოლას ევედრებიან.

#### ღირბი

სოფელ ღირბში (ქარელი) მდებარეობს X საუკუნის ღირბის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომელიც სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ინტერიერში საინტერესო მოხატულობის ფრაგმენტებია შემორჩენილი, რესტავრაციის შემდეგ, ნაღესი ფენის მოხსნისას პირველად გამოჩნდა ღვთისმშობლის გამოსახულება. იგი წარმოადგენს „მიდგომილ (ორსულ) ღვთისმშობელს“, რომლის მსგავსი გამოსახულებაც ძალზედ იშვიათია მართლმადიდებლურ სამყაროში.

ღირბის ღვთისმშობელი, უშვილოთა და ორსულთა შემწედი ითვლება, ამიტომ აქ უამრავი წყვილი მოდის. მონასტერში იქსოვება სარტყელი — უშვილოთათვის. ტაძრის მოლოცვისა და სარტყელის გამოყენების შემდეგ არაერთი უშვილო გამხდარა ღირბის ღვთისმშობლის შეწვევისა და წყალობის ღირსი.”



#### ქვათახევი

ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი მდებარეობს კასპის რაიონში. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ქვათახევის არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, შუენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალი. ამას შინა შეჰყარნა ლანგთემურ მონესენი და შეასხა ეყუანნი [რომელნი იტყოდენ: „ვთი ჩუენს დედაბრობასა, ეს რა გვეყდარუნებინა!“], და გამოსწუნა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ელნი, ფერნი, თავნი და გუამნი. არავინ შევალს ფერცმული, არამედ ფერშიშუენი, სინმიდისთ“.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ტაძრის საძირკველში ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილია ჩატანებული. მართალია, ქვათახევის სინმინდების უმეტესი ნაწილი დღეს იქ აღარ ინახება. წლების წინ დაწერილი ღვთისმშობლის მიძინების ხატი კი, რომელიც ადრე ტაძრის კანკელზე შესრულებული ხატის ასლია, დღესაც სასწაულომოქმედად ითვლება და მას განსაკუთრებით უშვილო წყვილები ევედრებიან.



## სარკის წმ. გიორგი

სარკის (სარკის) წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ქარელის რაიონში. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი, აგებული XVII საუკუნეში ძველი ეკლესიის ადგილზე. დღეს აქ მონასტერი ფუნქციონირებს. სარკის წმ. გიორგის ეკლესია ერთ-ერთი ძლიერი სალოცავია. იგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა. დღესაც ნახავთ უამრავ წყვილს, რომელთაც ამ ეკლესიის მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი. ძველ დროში მადლიერების ნიშნად ოჯახები, რომლებსაც მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი, ეკლესიას აკვებებს სწირავდნენ და ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, ტყეში, მდებარეობს საჯვარე, სადაც მომლოცველნი აუცილებლად შეისვენებენ ხოლმე.



## აკვანება

აკვანება მდებარეობს ბოლნისის რაიონში. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადრინდელი და მნიშვნელოვანი ძეგლია (VI ს.), რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა (ძველად ღვთისმშობლის ეკლესიებს უშვილო ქალები აკვებებს სწირავდნენ, აქედან მოდის დასახელება). ეკლესია ნახევრად დანგრეულია, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენია საინტერესო დეტალები: აღმოსავლეთის სარკმლის მოჩუქურთმებული სათაური და სამხრეთის ტიშანში (შიგნიდან) მოთავსებული რელიეფური ქვა, რომელზეც გამოსახულია ყურძნის მტევნები და ჩიტები. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მოქმედი არ არის, უშვილო წყვილები დღესაც მიდიან მოსალოცად.



## ბოდბე

ბოდბის მონასტერი მდებარეობს სიღნაღის რაიონში. ისტორიული წყაროების მიხედვით აგებულია VI ს-ში, წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილას, მისი საფლავი სამხრეთის მინაშენშია მოქცეული. ეკლესიის მხატვრობა XIX ს. განეკუთვნება. მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხევში მდებარეობს წმ. ნინოს მშობლების - ზაბულონისა და სოსანას სახელობის მცირე ეკლესია, სადაც წმ. ნინოს სასწაულმოქმედი წყარო გამოედინება. ამ წყალში განბანვის შემდეგ უამრავი ღვთის სასწაული მომხდარა, ამიტომ უამრავი წყვილი დღესაც სასწაულის მოლოდინშია.



## უძო

უძოს წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს კოჯრის მიდამოებში, უძოს მთაზე. ეკლესია შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მას ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს: „უძო ეკლესია წმინდა გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა მჭვრეტელი კოჯრისა და ტფილისისა.“ იგი იმითაც არის ცნობილი, რომ აქ უშვილო მანდილოსნები ფეხშიშველები ამოდიოდნენ და წმინდა გიორგის შვილის გაჩენას ევედრებოდნენ. სახელწოდება უძოც აქედან მოდის — „უძეო“. ეკლესიაზე ამოსული მომლოცველები შესანიშნავი იქვე მდგარ ნატვრის ხეზე ტოვებდნენ. ეს ხე დღესაც არსებობს. უძოების დღეობა ყოველ წელს, აღდგომის მომდევნო სამშაბათს იმართება.



ვანო ცინცაძე

# ტყეველი ღარიბებანი ქალბებ

თუ ქმარი შინ ღვინით, გამობრუული და გამსკდარი დაბრუნდა, მოეფერეთ და სთხოვეთ ხვალაც წავიდეს საჭიფოდ. ამით, ორსაქმეს გააკეთებთ: შინ ნერვები არ აგეშლებათ და ოჯახშიაც ეკონომიას გააკეთებთ!

ადრე რომ იწყევლებოდით, „შენ დალიე შხამი და დურბელა!“, „შენი კუბო დავდგი მალე!“, „შენ არ გელირსოს მოქალაქეთა კავშირის წევრობა!“, „შენ ქელეხში მოსულიყოს მთელი პარლამენტი!“ „არ გელირსოს ესენგეში შესვლა!“, „შენი ორმოცი და წლისთავი გადამეხადოს პოსლეზე!“.

როცა ქმარს ეჩხუბებით, ჩხუბს უნდა დაასწროთ სამშვიდობო ძალები - შენი მშობლები და დამკვირვებლები - მეზობლები.

თუ ქმარი გღალატობთ და სხვადასხვა ქალთან ერთობა, მიბრძანდით მუნიციპალიტეტში, გაუკეთეთ მეუღლეს პრივატიზაცია, გადაუხადეთ თანხა დაამტკიცებინეთ ნოტარიუსს და ამის შემდეგ თქვენი პირადი საკუთრება გახდება.

ვისაც ბევრი ლარი და დოლარი გაქვთ, იწუწუნეთ ყოველდღე, იტირეთ იზუზღუნეთ ვალებში ხომ არ იხრჩობითქო, მაღაზიებიდანაც კი ნისიად აიღეთ პროდუქტები. თორემ ახლობლები არ მოგასვენებენ - მასესხე, მასესხეს ძახილით.

თუ გსურთ კარგად ჩაიცვათ და დაიხუროთ არ იაროთ ლილოს, თბილისის, ან მუხიანის ბაზრობაზე, იქ ყველაფერს „ბარახლოს“ შემოგთავაზებენ - წადით ამერიკაში.

თუ არ მარხულობთ, ყოველდღე მიირთვით ახალ-ახალი მწვადები, ხაშლამა, ოჯახში გახრდილი ინდაურის საცივი, ღომი და სულგუნი, ცხელი მჭადები, ხაჭაპური და კუპატი, ყოველი სახის თევზეულობა, (უმჯობესია კეცებზე შემწვარი!) ხიზილალა, (რა თქმა უნდა, თუ რჩეული ბიზნესმენის ოჯახის წევრი ხართ).

თუ თქვენს ქმარს დედათქვენი წყევლის, გიხაროდეთ - დედის წყევლა ლოცვაა შვილისთვის.

ლთ ქმარს ათი თეთრიც არ ჩაუდოთ ჯიბეში, ის მაინც ნახავს დასალევს.



სადაური წესია?

მეზობელმა დამპატიჟა, ჰქონდა ბავშვის ნათლობა,  
და მეც დაფასებისთვის გადავუხადე მადლობა.  
ცოლმა მითხრა: „თუ არ გინდა, წუწურაქა დაგვარქვას,  
სახუქარი მივუტანოთ ისეთი, რომ გავიჟდეს,  
საბოლოოდ, სომ იცი რომ მიტანისთვის გუპატიეებს  
რადგან კარის მეზობლების კარგად ვიცით ჩვენ ფასი,  
ერთ ნათლობას შეეწირა თითქმის ჩემი ხელფასი,  
თან ისეთი ღვინო მასვა (რა ვქნა, უნდა დაემრანო)  
მეორე დღეს ჩემსას სამჯერ მოგრიალდა „სასწრაფო“,  
შეიკვილეს, შეიცხადეს, ეველა შემომესია,  
ძმარ-შაქარ-წელით კაცის მოკვლა სადაური წესია...  
ერთ მეგობარს ზესტაფონში ავად ჰყავდა ბებია,  
საწეალს, დასძინებია და აღარ გაღვიძებია,  
გასვენებას დავესწარი (იქაც ჩაველ ჩემს ჭირად),  
ვიღაც კაცთან მიმიყვანეს, ხელში სია ეჭირა.  
რამდენს სდებო, - შემეკითხნენ, მე გავბრახდი, ავევირდი:  
არ გრცხვენია, ფულს თხოულა? - გამოდის, რომ მკვდარს ეიდით!  
გაიცინეს, მითხრეს: ძმაო, ეს ვალი და სესხია!..  
გაკონილა? მკვდრით ვაჭრობა სადაური წესია!  
აჰ, ჯანდაბას, მეგობრისთვის შემეწირავს ის ფული,  
მე თუ გულში წეენა დამჩხა, ჭირისუფალს - „ჟიგული“ -  
გრძელ სეფაში თამადაბად დადგენ „მკელი „მსმელები“,  
სადღეგრძელო წამოიწეეს გარდაცვლილის სხენებით,  
მერე მიცვალებულების აღარ ჰქონდათ დარდი მათ  
და ქელები ერთ საათში გადაიქცა ნადიმად...  
„გთხოვთ მეწვიოთ, ქორწილი მაქვს შაბათს ჩემი ხუტასი,  
სალხი ცოტა მეუღლება, ასე კაცი ხუთასი“.  
ეს ბარათი რომ მივიღე, ვიეავ ნეფის მაყარი...  
სუფრა ვნახე, ო, რა სუფრა! - ბრძოლის ველის მაკვარი,  
იყო ერთი ღრიანცელი, ჩხუბი აყალ-მაყალი...  
ტიკივით რომ მიერდნობოდა სუფრას კაცი მალალი,  
ჩემზე ბრძანა: შეასვითო, სანამ ამითესია...  
ნეტავ ღვინოს დამალება, სადაური წესია?  
არ მომეშენენ, დამაფიცეს, ცოლი, შვილი, ძმაკაცი...  
დილით სახლში ოთხმა კაცმა მიმიტანა საკაცით.  
მამ, რისთვისლა ჰქვია ჩვენში სუფრას აკადემია,  
ნუთუ ზოგი მავნე ჩვევა ასე გადამდებია?  
შევარცხვინე ეველა ბრიევი (რა ვუწოდოთ სხვაგვარად),  
ვინც ლხინის და ჭირის წესი ასე გადაავარა.

ვანო ცინცაძე

# სახის ჯანის

# მოვლა გაზაფხულზე

ლამაზი სახის ჯანი სილამაზის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი მოვლა, ამისათვის კი უმთავრესია ვიცოდეთ რა ტიპის სახის ჯანი გვაქვს. არსებობს ცხიმოვანი, მშრალი, ნორმალური და შერეული ტიპის ჯანები და ყოველ მათგანს განსხვავებული მოვლა სჭირდება.

იმისათვის რომ გაიგოთ რა ტიპის ჯანი გავს, არ არის აუცილებელი კოსმეტიკური სალონი, ეს სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი. პირველ რიგში, უნდა გაისუფთავოთ სახის ჯანი ოთახის ტემპერატურის წყლითა და საპნით, 1-2 საათის შემდეგ, რაც ცხიმის ფენა კვლავ წარმოიქმნება, დაიღეთ ცხელი ქაღალდი სახის მთელ ტერიტორიაზე. ჯანი ცხიმოვანი იმ შემთხვევაში, თუ ქაღალდზე გაჩნდება ცხიმის ლაქები; ნორმალურია, თუ ოდნავ თანაბრად შეიმჩნევა ცხიმის კვალი. მშრალი ტიპის ჯანი არავითარ ლაქას არ ტოვებს, შერეული ტიპის ჯანი კი ქაღალდზე ზოგიერთ ადგილას დატოვებს ცხიმის ლაქებს.

ნებისმიერი ტიპის სახის ჯანისთვის ძალიან ეფექტურია ხილი, თუმცა ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებს: გარგარი ამშვიდებს, ბანანი ასწორებს და არბილებს ჯანს, მოცვი ავიწროებს ფორებს და კვებავს. ატამი ასწორებს ჯანს და არბილებს, აძლევს სასიამოვნო ფერს. ატამი და ჟოლო ატენიანებს და კვებავს. ლიმონი ათეთრებს და ფორებს ავიწროებს მოცხარი ავიწროებს ფორებს და კვებავს. ქაცვი ახორცილებს ჭრილობას, კვებავს და არბილებს.

## ცხიმოვანი სახის ჯანი განმარტება

**ლიმონი** - სახეს იწმენდენ ლიმონის წვენითა და ლიმონის ნაჭრით, ასევე ლიმონის წვენითა და წყლის ნარევი (1 ჩ. კ. ლიმონის წვენი 1/4 ჭიქა წყალზე).

**ვანილი** - 1 სუფრის კოვზ გვირილას ასხამენ 10 ს.კ. არაყს, აჩერებენ 7 დღე მუქ მინის ჭურჭელში, წურავენ და იწმენდენ სახეს კვირაში 2-ჯერ.

## მოვლა

ასეთი ტიპის ჯანი უნდა დაიბანოთ ყოველ დღე თბილი წყლითა და საპნით. ასევე სასურველია ლოსიონის ხმარება, რადგან ის ასუფთავებს ჯანს. მნიშვნელოვანი დაბინძურების შემთხვევაში კი სასურველია კოსმეტიკური აბინეტი სახის განმწმენდა.

## ნილაბი

აღეთ 1 სუფრის კოვზი ტუდის საფუარი და შეურიეთ მანონს ან კეფირს ისე, რომ მიიღოთ ერთგვაროვანი მასა. მიღებული მასა დაიდეთ სახის ყველა ცხიმოვან ადგილას და ნარევი გააშრეთ. 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ თბილი, შემდეგ

გრილი წყლით. ცხიმოვანი ჯანის მოვლისას ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს რძემჟავა პროდუქტების გამოყენება. სასარგებლოა, თუ სახის ჯანს ყოველ საღამოს ამჟავებულ რძეში დასველებული ტამპონით გაიწმენდთ, გააჩერეთ 2-3 წუთით, რომ გააშრეს, რის შემდეგაც წარსვით მკვებავი კრემი ცხიმოვანი ჯანისათვის - მატონიზირებელი, მადუზინფიცირებელი და ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით.

## მშრალი სახის ჯანი განმარტება

ერთმანეთში ურევენ 1 კვერცხის გულს, 1 ლიმონს, 1 კიტრის წვენს, ჭიქა წყალსა და 1ს/კ არაყს, შემდეგ წურავენ და ინახავენ ცივ ადგილას. მიღებულ მასით სახეს იწმენდენ ყოველდღე.

## მოვლა

სასურველია სახის დაბანა მცენარეთა ნაყენებით: პიტნა, ოხრახუმი, ვირისტერფა, ვარდის ფურცელი. სასურველია დაბანის ნაცვლად ლოსიონის ხმარება, ასევე 30 წლის შემდეგ მკვებავი კრემების ხმარება.

## ნილაბი

მშრალი ჯანისთვის სასურველია დიდი რაოდენობის ცხიმის შემცველი ნილებები, რაც ვიტამინებისა და ლიპიდების (ლუციტინის, ქოლესტეროლის) შეწოვაში ეხმარება. ხმარობენ ზეთის ნილაბს: წარსვით მენარეული ზეთი, დაიფარეთ სახეზე ქაღალდი და პირსახოცი შეიფუთეთ. 15 წუთში კი ჩამოიბანეთ სახე თბილი წყლით. შეურიეთ ერთმანეთს ხაჭო, გალივებული ხორბლის მწვანე წანახარდებისაგან დაყენებული ზეთი და ლიმონის წვენი ისე, რომ ფაფისებური მასა მიიღოთ. მიღებული მასა სქლად დაიდეთ სახეზე და 10 წუთში ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## ნორმალური სახის ჯანი ნილაბი

ჯანის გამოსაცოცხლებლად და გამოსაყვებად, ჭრიან ფორთოხას ბრტყელ ნაჭრებად და იღებენ სახეზე. სახის გამოსაყვებად ათქვეფილი კვერცხის გულს უმატებენ თითო ჩაის კოვზ ყურძნის წვენს, მცენარეულ ზეთს, ქერის ფქვილსა და არაყანს. ნილაბს ისვამენ 15-20 წუთი და იბანენ ჩაის სუსტი ნაყენით.

## მოვლა



ყველაზე ადვილი მოსავლელი ნორმალური ტიპის ჯანია. დილით ასეთი ტიპის ჯანი უნდა დაიბანოთ ოთახის ტემპერატურის წყლით ან ცივი და ცხელი წყლის მონაცვლეობით. პირის დასაბანად შეიძლება სხვადასხვა საპნის, ხმარება (კოსმეტიკური, საბავშვო, სპეციალური, პალმის) დაბანის შემდეგ სახე ჯარგად უნდა შეიმშრალოთ და წარსვით დამარბილებელი კრემი.



# ზვიად გაგსას უჩიდა



76



მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს განმანთავისუფლებელი  
მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი  
საქართველოს პირველი პრეზიდენტი